საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 4 დეკემბერი, 2012 წელი.

№232 (7108)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვები სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ეს საზოგადოების მოთხოვნაა!

დიახ, ძეგლი უნდა დაბრუნდეს იქ, სადაც იდგა!

როდესაც დავით აღმაშენებლის ძეგლის თბილისის ცენტრიდან განდევნა განხორციელდა, აშკარა იყო, რომ ამ ვანდალიზმით, სწორედ ქართველთა უდიდესი მხედართმთავრისა და მეფის ძეგლთან ბრძოლით დაიწყეს ქართულ სულიერებასთან, გმირობასთან, ტრადიციებთან და ზნეობასთან ბრძოლა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

ამიტომაც იყო, რომ მათ პირველი იერიში ქართულ სულიერებაზე და ქართულ კულტურაზე მიიტანეს... მსოფლიოში აღიარებული და საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილ ქანდაკებაზე იერიშის მიტანაც ამ მიზნებს ემსახურებოდა! ყოვლად უზნეოდ, ღამით, ქურდულად მოახდინეს წმინდანად შერაცხილი მეფის ბერძენიშვილისეული ბრწყინვალე ძეგლის დედაქალაქის ცენტრიდან გარეუბანში გადატანა და არაფრად ჩააგდეს ჩვენივე თანამოქალაქეების პროტესტი და აღშფოთება...

ვუერთდებით რა ინტელიგენციის მოთხოვნას, ჩვენ, გენერლები, საქართველოს გენერალთა კორპუსის სახელით მხარს ვუჭერთ ჩვენი დიდი თანამედროვისა და შემოქმედის მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი ქართველთა წმინდანად შერაცხილი მეფის დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნებას დედაქალაქის ცენტრში! დიახ, მიგვაჩნია, რომ ძეგლი უნდა დაბრუნდეს იქ, სადაც იდგა!

კიდევ ერთხელ გამოვხატავთ ჩვენს დამოკიდებულებას და ქართველი ერის კლასიკოსის ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვებით დავამთავრებთ ამ მიმართვას: აღტაცებით, სიამაყითა და სიხარულით ვუერთდებით ამ მართლაც ისტორიულად უმნიშვნელოვანესი საქმის განხორციელებას!

გენერალ-ლეიტენანტები: **გურამ გვეტაძე, ჯემალ მიძელაძე, დემურ მიძაძე, თამაზ დუმბაძე, დევი ჭანკოტაძე, ჯემალ ჭუმბურიძე, ჯემალ გახოკიძე, ომარ ლეკვეიშვილი, როგიზონ თუშურაშვილი.**

გენერალ-მაიორები: **კობა კობალაძე, ჯუმბერ სურმავა, შენგელი ფიცხელაური, თემურ მურღულია.**

შერჩევითი საკრთალი

3

საქართველო და პალესტინის სტატუსი

4

„ეს ელჩები რა გახდნენ ისეთი, რომ მათი დათმობა გვიჭირს?!“

5

ოპერაცია „სურამი“ და სხვა თავგადასავლები

6

„ქართული ოცნება“: საკაშვილს არ აქვს ხელშეუხებლობის გარანტია

8

რატომ გამოუშვეს ბრალდებულები გირაოთი?

2

პარლამენტის დედაქალაქში გადმოსატანად მხოლოდ რეფერენდუმია საჭირო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სიახლე

ალბომი „ილია II“ პატრიარქის საიუბილეოდ გამოიცა

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის ილია II-ის აღსაყდრების 35-ე და დაბადების მე-80 წლისთავის აღსანიშნავად გამომცემლობა „საოჯახო ბიბლიოთეკამ“ უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბა ალბომი „ილია II“.

პატრიარქის „ილუსტრირებული ბიოგრაფია“ — ესაა საკმაოდ სოლიდური ფორმატის (30X30სმ.), 300-გვერდიანი ფოტოალბომი, რომელშიც საარქივო და მხატვრული ფოტოსურათებით ხატოვანდაა გადმოცემული ქართული ეკლესიის უახლესი ისტორია და მისი ახლანდელი საჭეთმპყრობლის ცხოვრების გზა.

მკითხველი აქ ნახავს XX საუკუნის პატრიარქების უნიკალურ ფოტოებს; საბჭოთა პერიოდში დევნილი ეკლესიის ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს, პატრიარქ ილია II-ის მეთაურობით მიღწეული წარმატებების ამსახველ ფოტოკადრებს...

პატრიარქის შესახებ არაერთი წიგნი და ალბომი გამოცემულა; თუმცა, ამ, ბოლოდროინდელ გამოცემას თამამად შეიძლება უნიკალური ეწოდოს: თუნდაც იმიტომ, რომ აქ, ბევრ სხვა სიახლესთან ერთად, პირველად ქვეყნდება 1970-1980-იანი წლების ფოტომემატიანის, ილია ზემკოს არქივის ათასობით ფოტოფირიდან შერჩეული ის მასალა, რომელიც არამარტო აფიქსირებს ამა თუ იმ ღირსშესანიშნავ მოვლენას, არამედ ფოტოხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშსაც წარმოადგენს.

ალბომის ტექსტში პატრიარქის მოგონებები და მისი ბიოგრაფიის ეპიზოდებია შეჯერებული: მოკლედაა მოთხრობილი ილია II-ის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ფაქტების შესახებ; ასევე, მოტანილია მოკლე ამონარიდები პატრიარქის ეპისტოლეებიდან იმ სულიერი ფასეულობების შესახებ, რასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს უწმინდესი და უნეტარესი.

ილია II-ის მოგონებები ორგანულად ერთვის როგორც წინამორბედი პატრიარქების მოკლე ბიოგრაფიებს და მისსავე ბავშვობის ხანას, ისე მომდევნო, კომუნისტური პერიოდის მოვლენებსაც: ეროვნული მოძრაობისა თუ ქართველ მეცნიერთა და ხელოვანთა თანადგომის ამსახველ ეპიზოდებს.

ახლადგამოცემული ალბომის „უნიკალურ ნაწილს“ ეკუთვნის ილია II-ის ინიციატივით წმინდა სინოდის მიერ ახლადშერაცხილ წმინდანთა პორტრეტების ერთგვარი გალერეა. მკითხველი აქვე იხილავს აგრეთვე პატრიარქის შემოქმედების ერთი ასპექტის — ხატწერის საინტერესო ნიმუშებსაც.

ფოტოგრაფ ილია ზემკოს გარდა, თავისი წვლილი ახალი ალბომის უნიკალურობაში შეიტანა ახალგაზრდა ნიჭიერმა ფოტოხელოვანმა ზაზა მამულაშვილმა. მისმა, ბოლო ათწლეულებში გადაღებულმა ფერადოვანმა ფოტოსურათებმა, მხატვრულად შეავსეს და ერთგვარად გაახალისეს ამგვარი გამოცემისათვის ესოდენ აუცილებელი, საარქივო, „აკადემიური“ ნაწილი. ასევე დაამშვენეს წიგნი დავით კუკულაძისა და ქართველ ფოტოხელოვანთა ცნობილი რუსი მეგობრის იური როსტის ნამუშევრებმაც.

ტექსტში გამოყენებულია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორისა და პატრიარქ ილია II-ის პირადი ბიოგრაფის, პროფ. სერგო ვარდოსანიძის მონოგრაფია. რედაქტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ზაზა აბზიანიძე. ალბომის შედგენასა და დიზაინზე იზრუნეს მხატვარმა თეა ინწკირველმა და არქიტექტორმა თორნიკე გოგრიჭიანმა.

როგორც ამ გამოცემის ინიციატორები ამბობენ, მათი მიზანი იყო საუკეთესო ხარისხით დაესტამბათ ისეთი წიგნი, რომელიც შთამბეჭდავი ვიზუალური მასალითა და ამ უნიკალური ფოტოსურათებისათვის მისადაგებული ლიტერატურული ტექსტით მკითხველს ხატოვანად წარმოუსახავდა ჩვენი ეკლესიისა და მისი მეთაურის სახელოვანი ცხოვრების გზას.

პირველი შედეგი გამომცემლებმა უკვე მიიღეს — ალბომმა პატრიარქის მოულოდნელი სიხარული გამოიწვია. ახლა გამომცემელთა სურვილია ეს ალბომი პირველ რიგში პატრიარქის ნათლულებს შეხვდეთ. რაკი წიგნის ტირაჟი საკმაოდ შეზღუდულია, მისი გავრცელება სავაჭრო ობიექტებში არ მოხდება. წიგნის შეძენის მსურველებმა უნდა დარეკონ ტელეფონებზე 2-51-518 ან მიაკითხონ გამომცემლობას მისამართზე თბილისში: დავით გურამიშვილის გამზ. 64. ს.ს. „საქპრესა“, ხოლო რეგიონებში, შესაბამისად, „საქპრესის“ ფილიალებს. წიგნის ღირებულებაა 130 ლარი, თუმცა, პატრიარქის ნათლულებისთვის ალბომი გაიცემა სპეციალურ ფასად — 50 ლარად.

გამომცემელნი იმედოვნებენ, რომ ყველა მსურველს თუ არა, პატრიარქის ნათლულთა ოჯახებს მაინც შეხვდებათ ეს შესანიშნავი წიგნი.

◎ მილოცვა მოსკოვიდან

Московский Государственный Университет
им.М.В.Ломоносова

Исторический факультет

Декан:
академик РАН профессор С.П.Карпов

N 29-и

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძეს

ძვირფასო ქალბატონო მარიამ!

მიიღეთ უაღრესად გულწრფელი მილოცვები რუსეთის ბიზანტინოლოგების ეროვნული კომიტეტის, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტისა და თქვენი ყველა რუსი კოლეგისა და მეგობრისაგან ღირსშესანიშნავ იუბილესთან დაკავშირებით.

ჩვენ უაღრესად ვაფასებთ თქვენს უდიდეს წვლილს შუასაუკუნეების საქართველოს, კავკასიისა და ბიზანტიის ისტორიის კვლევაში. თქვენს შრომებს სწავლობენ მოსკოვის უნივერსიტეტში, ხოლო ძველი ქართული წერილობითი წყაროების თქვენეული რუსული თარგმანები ფასდაუდებელია.

მთელი გულით გისურვებთ თქვენ — შესანიშნავ მკვლევარს, მომხიბვლელ ადამიანს — ჯანმრთელობას, ახალ მეცნიერულ წარმატებებს, კეთილდღეობასა და აყვავებას.

უღრმესი პატივისცემითა და ერთგული სიყვარულით

ს. კარპოვი

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, რუსეთის ბიზანტინოლოგების ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი.

◎ ხელოვნური პრობლემა

პარლამენტის დედაქალაქში გადმოსატანად მხოლოდ რეფერენდუმია საჭირო

კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი პარლამენტის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული ჩანაწერის კონსტიტუციიდან ამოღების ინიციატივას დადებითად აფასებს და განმარტავს, რომ პარლამენტის ადგილსამყოფელის საკითხი კონსტიტუციის საგანი საერთოდ არ არის.

ამასთან, დემეტრაშვილი მიიჩნევს, რომ უკეთესი იქნება, თუ პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოსვლასთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარდება. მისი აზრით, საკითხი უმცირესობის მხრიდანაც იქნება მხარდაჭერილი.

— პარლამენტის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით მომზადებულ საკონსტიტუციო ცვლილებას დადებითად ვაფასებ, რადგან პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით უხერხულობა შეიქმნა. სხვა ვითარება იყო, როცა კონსტიტუციაში აღნიშნულ ცვლილებას იღებდნენ. მაშინ გათვალისწინებული იყო, რომ პარლამენტი და მთავრობა პრეზიდენტთან ერთად, ერთიან გუნდს წარმოადგენდა, მაგრამ სიტუაცია შეიცვალა და ახლა უმრავლესობას აქვს უფლება, პარლამენტის ადგილმდებარეობის შეცვის საკითხი დააყენოს. ვფიქრობ, პარლამენტის თბილისში დაბრუნების საკითხი დროულია, მაგრამ უფრო კარგი იქნება, თუკი ამის თაობაზე რეფერენდუმი ჩატარდებოდა. რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, ხალხის აზრი დადებითი იქნება და უმცირესობა, რომელიც წარმოდგენილ ინიციატივას დღეს მხარს არ უჭერს, ხალხის აზრს გაითვალისწინებდა, — განაცხადა ავთანდილ დემეტრაშვილმა.

მისივე თქმით, პარლამენტის ადგილსამყოფელის საკითხი კონსტიტუციის საგანი არ არის და სრულიად საკმარისია, მისი პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრა. როგორც დემეტრაშვილი განმარტავს, კონსტიტუციაში აუცილებლად უნდა ეწეროს, ქვეყნის დედაქალაქი, ხოლო რაც შეეხება პარლამენტის ადგილსამყოფელს, მასთან დაკავშირებული ნორმა კონსტიტუციებში იშვიათად იდება.

ინტერპრესნიუსი

◎ სასამართლო

რატომ გამოუშვეს ბრალდებულები გირაოთი?

თბილისის საქალაქო სასამართლო საპატრულო პოლიციის ყოფილი უფროსის ზურაბ მიქაძისა და შსს-ს გენერალური ინსპექციის ყოფილი ხელმძღვანელის თენგიზ გუნავასთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის ნაცვლად გირაოს შეფარდების მიზეზებს განმარტავს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სასამართლოს სპიკერ-მოსამართლე ეკა არეშიძემ განაცხადა, მიქაძის შემთხვევაში სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის, რომ ბრალდებული შაქრიანი დიაბეტითაა დაავადებული, წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა, გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და ჰყავს ოჯახი.

— ამასთან, ზურაბ მიქაძე დაბარებისთანავე გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში, შესაბამისად, ამ გარემოების გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს ბრალდებულის მხრიდან მიმალვის, ასევე საქმეზე შეხების მქონე პირების მიმართ ზემოქმედების და ახალი დანაშაულის ჩადების დასაბუთებული ვარაუდი, — აღნიშნა ეკა არეშიძემ.

ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სპიკერ-მოსამართლის განმარტებით, აღნიშნულს ემატება დაცვის მხარის ინფორმაციაც, რომ მიქაძის მიმართ წარდგენილი ბრალდების ნაწილზე სისხლის სამართლებრივი დევნისთვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.

რაც შეეხება თენგიზ გუნავას, ეკა არეშიძის თქმით, მის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას მხედველობაში იქნა მიღებული ის, რომ გუნავას 18 ნოემბერს შეფარდებული გირაოს პირობები არ დაურღვევია, ასევე ის, რომ პირველივე გამოძახებისთანავე გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში, გათავისუფლებულია თანამდებობიდან და ჰყავს მეუღლე და 3 მცირეწლოვანი შვილი.

— ამასთან, მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია გამოძიებისთვის ხელის შეშლის ფაქტს, შესაბამისად, ამ გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს ბრალდებულის მხრიდან მიმალვის, ასევე საქმეზე შეხების მქონე პირების მიმართ ზემოქმედების და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, — განაცხადა სპიკერ-მოსამართლემ.

ნოღაიდელი თავისი პარტიის დაბრუნებას აპირებს

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი პარტია „მომავალი საქართველოსთვის“ დაბრუნებისთვის სამართლებრივ ბრძოლას იწყებს.

როგორც ნოღაიდელმა ჟურნალისტებს განუცხადა, მიუხედავად ბრძოლის დაწყებისა, ის პოლიტიკურ აქტივობას ამ ეტაპზე არ აპირებს.

— ჩემმა ადვოკატებმა პროკურატურაში შესაბამისი მიმართვა უკვე შეიტანეს, რომ დადგინდეს დეტალურად, თუ რა მოხდა რეალურად. მოვითხოვ, მოხდეს გამოძიება, თუ ვისი დავალებით მოქმედებდა იუსტიციის სამინისტროში ამჟამადაც მომუშავე პიროვნება, რომელმაც წართმევის შემდეგ უკანონოდ დაარეგისტრირა პარტია. ამ კონსპირაციული ქმედებების დაგეგმვასა და ორგანიზებაში იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა და შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მიიღეს მონაწილეობა, რომელთა დავალებითაც იმართებოდნენ ის ადამიანები, ვინც ამ პროცესებში მონაწილეობდნენ, — განაცხადა ნოღაიდელმა.

ინტერპრესნიუსი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კოჰაბიტაცია ნაცურად

შერჩევითი სამართალი

საქართველოს მოქალაქის პოზიცია

ამერიკა-„ნატო“-ევროპარლამენტის მაღალჩინოსნების განცხადებებზე და ნაცმოძრაობის ლოგიკაზე დაყრდნობით სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: **სტრასბურგის სასამართლო მიკერძოებულია და საქართველოს მიმართ შერჩევით(!) სამართალს ახორციელებს, თანაც 100 %-ით!** უტყუარი, დოკუმენტირებული ფაქტია ის, რომ სტრასბურგის სასამართლო მხოლოდ(!)ნაცმოძრაობის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელებს განიხილავდა, მაშასადამე, პოლიტიკური ოპონენტების დევნის ნიშნებიც აშკარად წარმოჩენილია. მერე რა, რომ ყველა, 700-ვე(!) მომჩივანი საქართველოს პრეზიდენტს, მის მინისტრებს და მაღალი თანამდებობის პირებს უჩივის, და არავის — სხვას, ეს არაფერს არ ნიშნავს. არც ის, რომ საჩივრები ხელისუფლების ცვლამდე, 2012 წლის ოქტომბრამდეა შესული და, ამიტომ, პოლიტიკურ დევნაზე ლაპარაკიც კი სისულელეა! ეს, არც მე(!) და არც ამერიკა-ევროპას არ გვაინტერესებს! მთავარი კრიტერიუმია პასუხი კითხვაზე: **არიან მოპასუხენი ნაცები? არიან! ე.ი. სამართალი შერჩევითია და ადგილი აქვს პოლიტიკური ნიშნით დევნას! მორჩა და გათავდა!**

სიმართლე გითხრათ, მთლად ასე პირდაპირ ვერ შევბედავ სტრასბურგის სასამართლოს, რაც არ უნდა იყოს, საერთაშორისოა(!), ამიტომ ეტიკეტის დაცვით, დიპლომატიურად გავაფრთხილებ (ზუსტად ისე, როგორც ჩვენ გვაფრთხილებენ „მეგობრულად“) „ნატოს“ გენერალური მდივნის რასმუსენის, ევროპარლამენტის პრეზიდენტის შულცის, ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის გორდონის, ევროკავშირის უმაღლესი კომისრის ეშტონის, საქართველოში ევროკავშირის ელჩის დიმიტროვის და კიდევ სხვათა სიტყვების დედააზრით — „თუ (**! — ი.ლ.**)სასამართლო პროცესები პოლიტიკური ოპონენტების დევნას დაემსგავსება, მთელი სტრასბურგი (საქართველო) გადაიხდის მძიმე საფასურს“. ნამდვილად მეგობრულზე მეგობრული რჩევაა, ვერაფერს იტყვი, მაგრამ რა ქნან სტრასბურგში, თუკი არანაცებზე ერთი საჩივარიც არ არის მათთან შესული?! რა და, ყველა საქმეზე უნდა გამოიტანონ ერთადერთი განაჩენი, უკანასკნელ ხანებში მოდაში შემოსული, ნაცების დამამშვიდებელი ინგლისური სიტყვით გამოხატული — კოჰაბიტაცია! (თანაცხოვრება!). და ამიერიდან მომჩივანმა და მოპასუხემ, დაზარალებულმა და დამნაშავემ, მკვლელმა და შვილმკვდარმა იცხოვრონ ერთად, მშვიდად და ბედნიერად! „დავივიწყოთ, რაც იყოოო...“. **გაუმარჯოს კოჰაბიტაციას!**

სულ მალე, თბილისი სტრასბურგს დაემსგავსება სასამართლოებით, მათაც ნაცმოძრაობის უმაღლესი მოხელეების წინააღმდეგ შეტანილი ათასობით სარჩელის განხილვა მოუწევთ მხოლოდ! რას ჰგავს მერე ეს! ამაში უნდა მივბაძოთ დასავლეთს?! რას იტყვის წიკლაური ან მინაშვილი! ისე, ეს ჩვენი ხალხიც რა მიკერძოებული ყოფილა, არ მეგონა ამდენი ბოღმა თუ ჰქონდა გულში დაგროვილი, მაინცდამაინც ნაცმოძრაობის მიერ ჩადენილი დანაშაულობების, თანაც, მთელი ცხრა (!) წლის მანძილზე „ნამოღვაწარის“ (მკვლელობების, წამების, დაყაჩაღების, უკანონო დაპატიმრებების, პოლიტიკური დევნის) გამოძიებას ითხოვს. არავის არ წამოცდება ერთი თბილი, ნაცების ყურისთვის სასიამოვნო ქრისტიანული სიტყვა: „ვაპატიოთ“! არა! გვესმის მხოლოდ: „გავასამართლოთ“, „დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს“! ნამდვილად გადაგვარების წინაშე ვდგევართ! და იმასაც ვერ ვხვდებით, რომ **სამართალს „ნატოში“ შესვლა სჯობია ბევრად!** რომ, **თუ სამართალს თვალს მოვუხუჭავთ, „ნატოსთან“ უფრო ახლოს მივჩოჩდებით!**

ჰოდა, აბა იმას როგორღა მივხვდებით, რომ დასავლეთს ხელს არ აძლევს „ქართული ოცნების“ მიერ ხალხისთვის მიცემული პირობის შესრულება, არ აწყობს საქართველოში ჭეშმარიტი სამართლის ზეიმი. მას ისეთი სამართალი აწყობს, როგორიც იყო ოქტომბრამდე, სააკაშვილისეული, როცა დასტა-დასტა ყრიდნენ ციხეებში უდანაშაულო ადამიანებს და იქ წამებით ხდიდნენ სულს, და ხალხიც იყო დაშინებულ-დაჩმორებული, სამაგიეროდ — თვინიერი, მორჩილი! ამერიკამ ყველაზე უკეთ და დეტალებში იცის (საელჩოს, დაზვერვის სამსახურის, ხელისუფლებისთვის მიჩენილი მრჩევლების, მის მიერ დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობოების მეშვეობით), თუ ვის რა ბრალი მიუძღვის ხელისუფლებაში, იცის პრეზიდენტის აღიარებითი ჩვენების თაობაზეც აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტასთან დაკავშირებით, და არც პრემიერ-მინისტრ ჟვანიას „მოწამვლაა“ მისთვის ბურუსით მოცული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მიუხედავად სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩადენილი სხვა უამრავი ცოდვისა, იგი მაინც ეწინააღმდეგება (ჯერჯერობით, დიპლომატიურად!) დამნაშავეების დასჯას, თავად სააკაშვილისთვის კი, მიუხედავად ქართველი ხალხის საყოველთაო საპროტესტო განწყობისა (შესაბამისი ხელმოწერების შეგროვებისა), პრეზიდენტობის კონსტიტუციური ვადის გახანგრძლივებას ითხოვს. ასე „სამართლიანად“ ექცევიან იმ ქვეყნის ხალხს, რომლის ხელისუფლებაც მისკენ, „ნატოსკენ“ მიისწრაფვის და მისი (!) გულისთვის თავის შვილებს სწირავს შორეული ავღანეთის უცხო მიწაზე!

ამერიკა-ევროპამ ისიც შესანიშნავად იციან, რომ მართლმსაჯულების მიერ განუხილავი დანაშაული მხოლოდ ნაცმოძრაობის ლიდერებს და სააკაშვილის ხელისუფლების მოხელეებს აქვთ ჩადენილი. **ნაცების მხარდამჭერებს, როგორც შინ, ისე გარეთ, ერთი ფაქტიც არ მოეპოვებათ არანაცების მიერ ჩადენილი დაუსჯელი დანაშაულისა! დაუსჯელნი, მხოლოდ ნაცმოძრაობა, მისი წევრები და აქტივისტები არიან!** ამიტომ, ნაცებზე დასაცავად გადაფარებული დასავლეთის შემყურე მოსახლეობის დიდი ნაწილი, ისეთიც კი, რომელიც აქამდე ამერიკას აღმერთებდა და მას დემოკრატიის სიმბოლოდ მიიჩნევდა, დღეს აღშფოთებულია დასავლეთის მიკერძოებული პოზიციით (საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ) და „ნატოს“ გაგონებაც არ სურს!

ვისაც ახსოვს, ყველამ ვიცით, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში, ყველა რესპუბლიკის ცკ-ს პირველ მდივანს გასაკონტროლებლად მიჩენილი ჰყავდა მეორე მდივანი, ეროვნებით რუსი კაცი, ოფიციალურად დანიშნული მოსკოვის მიერ, რომელიც სისტემატურად ატყობინებდა კრემლს რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენების თუ პოლიტიკური კლიმატის ცვლილებების შესახებ. აი ეს, კოლონიზატორი რუსეთის მიერ იურიდიული უფლებებით აღჭურვილი მეორე მდივნებიც კი არ კადრულობდნენ „დამონებული“ რესპუბლიკების საშინაო პოლიტიკაში იმ სახით ჩარევას, როგორც ამას დღეს დაუფარავად აკეთებს დემოკრატიული დასავლეთი — **პროკურატურის მიერ განხორციელებულ ლამის ყოველ დაკავებას გაფრთხილება მოსდევს (მეგობრული, ცხადია!) „თუობით“ ფორმაში გამოხატული!**

თუ (მეც „თუობით“ ფორმას ვიხმარ!), დასავლეთს არ სურს, რომ ქართველმა ხალხმა ზურგი აქციოს „ნატოს“, უმართებულო შენიშვნები (ვითომ დიპლომატიის ჩარჩოებში მოქცეული) უნდა დასრულდეს. ამერიკა-„ნატო“-ევროპარლამენტმა კეთილი ინებონ და მოავლინონ ჯგუფი კომპეტენტური პირებისა (ამის ნება დართო მათ საქართველოს პრემიერმა, თუმცა სრული უფლება ჰქონდა ეს შეთავაზება არ გაეკეთებინა) საქართველოს პროკურატურაში შეტანილი სარჩელების და ადრესატების(!) გასაცნობად, აღძრული საქმეების მართლზომიერების შესაფასებლად, ბრალდების წაყენების და გამოძიების პროცესზე დასაკვირვებლად, რათა თავიანთი თვალით ნახონ და დარწმუნდნენ, თუ როგორი მართლმსაჯულებაა საქართველოში დაწყებული 2012 წლის ოქტომბრიდან, და შეადარონ ის ოქტომბრამდე არსებულს. დააკვირდნენ იმასაც, წავა თუ არა სტრასბურგში ყოველთვიურად10-12 საქმე უკმაყოფილო მომჩივნებისა ისევე, როგორც აქამდე ხდებოდა და, თუ აღმოჩნდება, რომ 99.99% ადამიანებისა ნაცმოძრაობის ლიდერებს ან მათი გუნდის წევრებს უჩივიან მხოლოდ, მაშინ ეს უკვე ნაცმოძრაობის პრობლემა იქნება, თანაც, დიდი, რადგანაც აუცილებლად დადგება მისი, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციის ყოფნა-არყოფნის საკითხი! **ამერიკა-ევროპას თუ ობიექტური არბიტრობა სურს,** ამ გზით **უნდა გაარკვიოს მტყუან-მართალი, უნდა შეეშვას ნაცების გათეთრების მცდელობას და შეწყვიტოს საქართველოს ახალი ხელისუფლებისთვის „თუ“-ობით(!) ფორმაში „პოლიტიკურ დევნაზე“ დაუმსახურებელი შენიშვნების მიცემა!**

ვინც რა უნდა თქვას, თეთრი და შავი მაინც გამოჩნდება... სასამართლოში !

იაკობ ლეჟავა,
29 ნოემბერი, 2012

P. S. ისე, **ზოგიერთებს საქართველოში — დეპუტატებს, ჟურნალისტებს (უმრავლესობიდან და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა რიგებიდანაც კი!) მართლა შერჩევითი სამართლის დამყარება სურთ!** აბა, როდის აქეთ გახდა პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა (ლამის, პერმანენტული, დაწყებული 2008 წლიდან!) კანონიერი, და მარტვილის საკრებულოს თავმჯდომარის და გამგებლის გადადგომის მოთხოვნა კი — უკანონო? ხალხის მოთხოვნა ყოველთვის კანონიერია მიუხედავად იმისა, თუ ვის გადადგომას ითხოვს ის. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ხელშეუხებელი თანამდებობა (მოსამართლის ჩათვლით!) არ არსებობს! ხალხის მასობრივი(!) უკმაყოფილება საკმარისია მისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, და ხელისუფლების არათანამიმდევრულობის, გნებავთ, სისუსტის მაჩვენებელია, როცა პროტესტის გამომხატველ ხალხს ერთი თუ ორი უღირსი მოხელის გადასაყენებლად შიმშილობის დაწყება უხდება. **გადამდგარ პირებს არავინ არ უზღუდავს უფლებებს და თუ ხელახალ, ვადამდელ და გაუყალბებელ(!) არჩევნებში მოსახლეობის უმეტესობა კვლავ მათ დაუჭერს მხარს, მხოლოდ ამის შემდეგ ჩაითვლება იგივე მოთხოვნები უკანონოდ!**

ი. ლ.

◎ ალიან-ჩალიანი

ინციდენტი ფრონეს ხეობაში

ევროკავშირის **სადამკვირვებლო მისიის განცხადებით, ინფორმაციის მიღების შემდეგ, მისია ორივე მხარეს დაეკონტაქტა, გამოიყენა რა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ცხელი ხაზი. ასევე, შეაგროვა ინფორმაცია ადმინისტრაციულ საზღვარზე მყოფი მესაზღვრეებისგან.**

ევროკავშირის მონიტორები მოგვიანებით შეხვდნენ მძღოლს, რომლის მანქანასაც ესროლეს ინციდენტის დროს, გარდა ამისა, შეხვდნენ ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურების წარმომადგენლებს და მომხდარი განიხილეს.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მოუწოდებს ყველა მხარეს, შეინარჩუნონ კონსტრუქციული მიდგომა და გამოიჩინონ თავშეკავება, რათა თავიდან აიცილონ ვითარების შემდგომ დაძაბვა.

— მისია აფასებს იმას, რომ ჩართულმა მხარეებმა სიტუაციის განსამუხტად და გარემოებების გასარკვევად ცხელი ხაზი გამოიყენეს. ინციდენტის განხილვა ერგნეთში დაგეგმილი ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში დაგეგმილ მორიგ შეხვედრაზე მოხდება, რომელიც ამ თვეში გაიმართება, — ნათქვამია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის განცხადებაში.

ფრონეს ხეობაში სროლის შესახებ ინფორმაცია კვირას გავრცელდა. ინციდენტს გუშინვე გამოეხმაურა შინაგან საქმეთა სამინისტრო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფრონეს ხეობაში სიმშვიდეა და დაჭრილებისა და დაღუპულების შესახებ ინფორმაცია არ დასტურდება.

— მინისტრი პირადად იმყოფებოდა შიდა ქართლში. მან მოიარა ყველა საგუშაგო და პოლიციის განყოფილება. სიტუაცია სრულიად კონტროლირებადია. რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას შუადღეს, ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სროლების შესახებ, ეს იყო დაპირისპირება ყოფით ნიადაგზე. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ეს ფაქტი მალევე იქნა აღკვეთილი თავად ოსური მხარის მიერ, — აცხადებს შსს-ს პრესსამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი.

ქარელის გამგებელი ილია ბურჯანაძე კი აცხადებდა, რომ ინციდენტი ფრონეს ხეობის სოფლებში — კოდასა და აბანოში მოხდა. მისი თქმით, სოფლის გზაზე მიმავალ მოქალაქეს ოსური მხრიდან სროლა აუტეხეს. ბურჯანაძის განცხადებით, სროლას ქართველმა სამართალდამცავებმა სროლით უპასუხეს, თუმცა დაღუპულები და დაჭრილები არ არიან.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ საქართველო და პალესტინის სტატუსი

არასწორი ნაბიჯი თუ „ჭიქაში აჯეხილი ქარიშხალი?“

ქართულ სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციების მსხვილ პოლიტიკურ სკანდალად გადაქცევა, უკანასკნელი წინასაარჩევნო პერიოდის საქართველოს ერთ-ერთ მახასიათებელ ნიშნად იქცა. პოლიტიკურმა ძალებმა, როგორც ჩანს, მშვენივრად აუღეს ალღო თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს ამ ტენდენციას და ტრადიციადაც დანერგეს, რომელიც არჩევნების შემდეგაც გაგრძელდა. ამ დღეებში, ერთ-ერთ კერძო ქართულ ბლოგზე გამოქვეყნებული მასალა, მყვირალა სათაურით: **„მოშე: ისრაელის საელჩომ საქართველოში მისია ამოწურა“,** ქართულ ინტერნეტ-სივრცეში სრული ისტერიის საფუძველი გახდა.

ძნელი სათქმელია, რატომ ვერ შენიშნა ქართულმა პუბლიკამ სათაურსა და ტექსტის შინაარსს შორის სრული შეუსაბამობა, მაგრამ ფაქტია, რომ სათაურის ეფექტმა მკითხველზე იმუშავა. პუბლიკამ ჩათვალა, რომ ინტერნეტ-მედიამ ისრაელის საელჩოს ოფიციალური პოზიცია გაახმოვანა და ისრაელის დიმპლომატიური უწყება საქართველოში თავის ფუნქციონირებას წყვეტს. რეალურად კი, კერძო ბლოგზე მოყვანილ მასალაში, რომელსაც წარმომავლობა და პირველწყარო არ აწერია, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე კომენტარს ქართულ-ებრაული ბიზნეს პალატის პრეზიდენტი იციკ მოშე აკეთებს და საკუთარ, პირად პოზიციას ახმოვანებს. კერძოდ, მოშეს განცხადებაში ნათქვამია: **„მე რომ ვყოფილიყავი ისრაელის ელჩი საქართველოში, დაუყოვნებლივ დავტოვებდი თანამდებობას, ვინაიდან ჩავთვლიდი, რომ საქართველოში ჩემი მისია ამოწურულია. იმის ნაცვლად რომ ორ ქვეყანას შორის კეთილგანწყობა შენარჩუნებულიყო, ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა გაფუჭდა“.**

ამ კომენტარს კი ერთვის ბლოგერის კერძო მოსაზრება: **„მაქვს საფუძველი ვივარაუდო, რომ საქართველოს მთავრობას არც აფხაზეთის და სამაჩაბლოს „ახალი სტატუსის“ აღიარება გაუჭირდება. ისრაელის მაგალითზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ასე „დიპლომატიურად“ აპირებს სახალხო დიპლომატიის მშენებლობას საქართველოს პრემიერ-მინისტრი და მთავრობა“.**

დემოკრატიულ სახელმწიფოში ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, საკუთარი აზრი დაფიქსიროს ამა თუ იმ საკითხზე, თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა საქმე ასეთ პრინციპულ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე თემას ეხება, ალბათ, აუცილებელია საზოგადოებისთვის ვრცელი განმარტება ოფიციალურმა პირებმა და კომპეტენტურმა ექსპერტებმა გააკეთონ, ხოლო ჩვენ შევეცდებით საზოგადოებას ამ თემასთან დაკავშირებით, კონკრეტული ფაქტები მივაწოდოთ და ვარაუდები, გარკვეულწილად, სისტემაში მოვიყვანოთ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გადაწყვეტილება პალესტინისთვის ავტონომიის გაფართოების და სახელმწიფოდამკვირვებლის სტატუსის მინიჭებაზე მიიღო. გაეროს მიერ პალესტინისთვის ახალი სტატუსის მინიჭებას 138 სახელმწიფომ დაუჭირა მხარი, მათ შორის საქართველომ, 41 სახელმწიფომ თავი შეიკავა, ხოლო 9-მ წინააღმდეგ მისცა ხმა. ეს ქვეყნებია: აშშ, ისრაელი, კანადა, ჩეხეთი, პანამა, მარშალის კუნძულები, მიკრონეზია, ნაურუ და პალაუ.

საქართველოს მთავრობის ოფიციალური პოზიცია „ქართული ოცნების“ წევრმა ირაკლი სესიაშვილმა გაახმიანა. მისი თქმით: საქართველომ პალესტინის ახალ სტატუსზე რეზოლუციას მხარი სახელმწიფოებრივი ინტერესიდან გამომდინარე დაუჭირა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდის ინფორმაციით, საქართველომ პალესტინის დამოუკიდებლობა 1992 წლის 25 აპრილს აღიარა. ასე რომ, მცირე ხნის წინ საქართველოს პრემიერის მიერ ისრაელის ელჩთან შეხვედრისას პალესტინის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოხსენიებას ლოგიკური საფუძველი ჰქონდა. საქართველოს პოზიცია, პალესტინის ავტონომიასთან დამოკიდებულებაში, ყოველთვის თანამიმდევრული იყო. ივანიშვილის განცხადების კრიტიკოსებს, ინფორმაცია არ ჰქონიათ იმის შესახებ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ პალესტინას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, მთელი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის მანძილზე მოიხსენიებდა. მაგალითად, „ჯი-ეიჩ-ენის“ 2011 წლის 14 ივლისის ახალ ამბებში, სათაურით, „გრიგოლ ვაშაძე დიპლომატებთან შეხვედრაზე პალესტინის რეზოლუციის საკითხით დაინტერესდა“, მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, გრიგოლ ვაშაძე ასეთ განცხადებას აკეთებს: **„არც ერთ სახელმწიფოს არ დაუფიქსირებია რაიმე პოზიცია, გარდა პრინციპებისა, რომელზეც ყველა ვთანხმდებით, რომ არის ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო ისრაელი და პალესტინა. ისრაელს უსაფრთხოების გარანტიები უნდა ჰქონდეს დაცული, ხოლო პალესტინას დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და საზღვრები“.**

საქართველომ ამ ეტაპზე მხარი არა პალესტინის აღიარებას, რომელიც ისედაც აღიარებული გვაქვს, არამედ, პალესტინის სტატუსის ამაღლებას მისცა გაეროში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პალესტინას, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, ასე მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრება, არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება შეთანხმებული იყო მაღალ დონეზე, მათ შორის, პარტნიორ სახელმწიფოებთანაც.

მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობამ, მათ შორის აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნების უმრავლესობამ, ევროპულმა სახელმწიფოებმა, ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო. დიპლომატიაში არსებობს ასეთი ტენდენცია, როცა ძლიერი სახელმწიფო, გარკვეულ ფაქტორთა გათვალისწინებით, მაშინ როცა საკუთარი ოფიციალურად გაცხადებული პოლიტიკის დიამეტრალურად საწინააღმდეგოდ ვერ წავა, თავად არ აფიქსირებს პოზიციას, ხოლო მისი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნები, მასთან შეთანხმებით, გარკვეულ დიპლომატიურ სვლებს ახორციელებენ, თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია.

ინტერნეტ პოლიტაქტივისტების ისტერია ერთია და საერთაშორისო დიპლომატიური თამაშები მეორე. რეალურად, საქართველოს მოგება ამ სიტუაციაში შესაძლოა ისიც იყო, რომ მაშინ, როცა რუსეთი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეძებს ქვეყნებს, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული რეგიონის დამოუკიდებლობას აღიარებენ, საქართველო მუდმივად დენთის კასრზე ზის. ამ ხმის მიცემით კი, ჩვენმა სახელმწიფომ მოიგო იმ ქვეყნების გული, რომელთაგანაც მსგავსი საშიშროება მომდინარეობს. ცნობილია, რომ თავის დროზე გრიგოლ ვაშაძის უწყებამ სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადთან ურთიერთობის გაუმჯობესებით, სირიის მხრიდან აფხაზეთ-ცხინვალის აღიარება შეაჩერა.

ასე რომ, ერთი მხრივ პანიკა, თითქოს საქართველომ ისრაელი გააბრაზა და ისიც, რომ ლომაიამ და სააკაშვილმა ივანიშვილს დივერსია მოუწყვეს, სრული აბსურდია, ხოლო აგორებული ისტერია — ერთი პოლიტიკური ძალის მიერ მეორე პოლიტიკური ძალის საწინააღმდეგოდ მიმართული „შავი პიარი“, რომელიც ადეკვატურობისგან შორს დგას. რეალურად, ეს ყველაფერი ქართული დიპლომატიის წლების მანძილზე წარმოებული პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელებაა, რომლის შედეგებიც საქართველოსთვის, დროთა განმავლობაში წარმოჩინდება.

ლელა კედელაშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

პალესტინის სტატუსთან დაკავშირებით საქართველოს ყველაზე გონივრული პოზიცია „თავის შეკავება“ იქნებოდა



ექსპერტ გია ხუხაშვილის აზრით, პალესტინის სტატუსთან დაკავშირებით საქართველოს ყველაზე გონივრული პოზიცია, გადაწყვეტილების მიღებისას, „თავის შეკავება“ იქნებოდა.

— მე ნახევრად ებრაელი გახლავართ და არ მინდა ამ თემის გამო სუბიექტურობა დამწამონ, თუმცა, მის დრამატიზებასაც არ მოვახდენდი. გარდამავალ ეტაპზე, რომელშიც ახლა საქართველო იმყოფება, დიპლომატიურ კორპუსთან გარკვეული პრობლემები გვაქს — შეიცვალა ხელისუფლება, მაგრამ დიპლომატიური კორპუსი ჯერჯერობით ყოფილი ხელისუფლების კონტროლქვეშაა. ვფიქრობ, არასათანადოდ იქნა გაანალიზებული, არასათანადოდ იქნა მიწოდებული ინფორმაცია და აღნიშნულმა ხარვეზმა ამ შემთხვევაში იჩინა თავი. ვფიქრობ, ყველაზე გონივრული პოზიცია იქნებოდა თავის შეკავება. ჩვენ არ ვართ იმდენად მნიშვნელოვანი ქვეყანა, რომ ამ ტიპის გადაწყვეტილებებში რადიკალური პოზიცია გამოვხატოთ — ორივე მხარე ჩვენთვის საპატივცემულოა, — განაცხადა გია ხუხაშვილმა „მაესტროს“ პრესკლუბში ჟურნალისტებთან შეხვედრაზე.

აღნიშნულის მიუხედავად, ექსპერტი ფიქრობს, რომ მიღებული გადაწყვეტილების დრამატიზება არ ღირს და ეს ყველაფერი გამოსწორებადია.

„ლეგენდა ხუხაშვილზე“ და „მე-9 არხის“ რეორგანიზაცია

თამარ რუხაძის მუშაობა არ მომწონდა, დაახლოებით იგივე სტილით ამონტაჟებდნენ სიუჟეტებს, რომელშიც იდეოლოგიურად სააკაშვილის ხელისუფლების მიერ მართული ტელევიზიები, — ამის შესახებ გია ხუხაშვილმა „მაესტროს“ პრესკლუბში განაცხადა.

მან „მე-9 არხის“ მუშაობასთან დაკავშირებით უკმაყოფილება ღიად გამოთქვა. თუმცა, აქვე განმარტა, რომ არხის სარედაქციო პოლიტიკაში არ ჩარეულა და მისი სახელის ტელეკომპანიასთან დაკავშირება „სასაცილო ისტორიაა“.

— დაახლოებით ერთი თვეა ჩემს წინააღმდეგ ძალიან უცნაური და კურიოზული კამპანია მიმდინარეობს. კომენტარს სპეციალურად არ ვაკეთებდი, რადგან მაინტერესებდა, სანამდე მივიდოდა სასაცილო ისტორია, რასაც ჰქვია „ლეგენდა ხუხაშვილზე“. ამ ტელეკომპანიასთან დაკავშირებით ჩემს გვარს ძალიან ხშირად ატრიალებენ, თუმცა, თქვენთან ერთად გავიგე, რომ „მე-9 არხზე“ ადმინისტრაცია იცვლებოდა. მე ნამდვილად არ მქონდა ამაზე წარმოდგენა. ვადასტურებ, რომ არ ვუყურებდი „მე-9 არხს“ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ უკმაყოფილო ვიყავი ამ არხის მუშაობით — მან ვერ შეიძინა სახე. თამარ რუხაძეს რაც შეეხება, მე არ მომწონდა მისი მუშაობა, პროფესიულად არ მომწონდა და, ბუნებრივია უკმაყოფილო ვიყავი. ისინი დაახლოებით იგივე სტილით ამონტაჟებდნენ სიუჟეტებს, როგორშიც ის ტელევიზიები, იდეოლოგიურად რომ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ იმართებოდნენ. პოლიტიკურ პროცესში ვიყავი ჩართული და ბუნებრივია, ეს არ მომეწონებოდა, თუმცა, ჩემი უკმაყოფილების მიუხედავად, ტელეკომპანიის საქმეში არ ჩავრეულვარ. ეს ზუსტად „მე-9 არხის“ სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობაზე მეტყველებს, — განაცხადა ხუხაშვილმა.

მისივე განმარტებით, არხიდან წასული ჟურნალისტების მიერ „მე-9 არხთან“ მისი კავშირის დასადასტურებლად მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში გავრცელებული აუდიოჩანაწერის მოშველიება, „არაკორექტულია“.

ხუხაშვილის აზრით, „ღრმად არასერიოზულია“ ტელეკომპანიის თავისუფლების გარანტად კახა ბექაურის გამოცხადება და ლუბა ელიაშვილისთვის ისტერიის მოწყობა მაშინ, როცა ახალ გენერალურ დირექტორს ჯერ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს.

იგორ გიორგაძეს სამშობლოში დაბრუნება სურს

უშიშროების ყოფილმა მინისტრმა იგორ გიორგაძემ საქართველოს პროკურატურას მიმართა, რომ მოეხსნას დევნა და დაბრუნდეს საქართველოში. ამის შესახებ იგორ გიორგაძემ რუსეთიდან ტელეხიდის დროს, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, მისმა ადვოკატმა შესაბამისი მიმართვა პროკურატურაში უკვე შეიტანა. იგორ გიორგაძე აცხადებს, რომ დევნის მოხსნის თემაზე არასამთავრობო ორგანიზაციებსაც მიმართა.

— ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ ვხედავ, რომ დავბრუნდე საქართველოში. მე არასდროს არანაირი ბრალი არ მაქვს წაყენებული არც ერთი ხელისუფლების მხრიდან, არც ერთ სასამართლოს, არც ერთ საგამოძიებო ორგანოს არ წაუყენებია ჩემთვის ბრალი, მაგრამ ჩემზე დევნა გრძელდება. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ სრულიად ლეგიტიმურია ჩემი მოთხოვნა ქვეყანაში დაბრუნებასთან დაკავშირებით, — აღნიშნა გიორგაძემ.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში დაბრუნდება, გაგრძელებს პოლიტიკურ საქმიანობას.

— მე არ შემიწყვეტია პოლიტიკური ცხოვრება. 2006 წლამდე მოქმედებდა პარტია „სამართლიანობა“ და გავაგრძელებ ამ პარტიის მიმართულებით პოლიტიკურ მოღვაწეობას. რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციებს, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რუსეთში ჩასვლისას მასთან შეხვედრებს მართავდნენ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, კერძოდ ნინო ბურჯანაძე და კახა კუკავა, იგორ გიორგაძე აცხადებს, რომ ბურჯანაძეს არასდროს შეხვედრია, კუკავასთან კი შეხვედრა ჰქონდა. გიორგაძე ასევე ეხმაურება საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს და აღნიშნავს, რომ შევარდნაძემ დე ფაქტოდ და სააკაშვილმა დე იურედ წერტილი დაუსვეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

— ამიტომ ჩვენ ხელისუფლებას ძალიან დიდი პრობლემები შეექმნება. ჩვენ ვიწყებთ არა ნულიდან, არამედ მინუს ათასიდან. მე მივესალმები რუსეთის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნას, თუმცა ის ზიანი, რაც მიაყენა სააკაშვილის მთავრობამ ამ ურთიერთობებს, ჩიხში შეიყვანა ეს და იქიდან გამოსასვლელად აუცილებელია თვეები და წლები, —განაცხადა იგორ გიორგაძემ.

გიორგაძე, ასევე, ეხმაურება საქართველოში ბოლო პერიოდში განხორციელებულ დაკავებებს. მისი აზრით, ყველა დაკავება, რომელიც მოხდა, არის კანონიერების ფარგლებში. გიორგაძის თქმით, ახალი ხელისუფლების პირობებში იგრძნობა, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღდგება.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ თარიღი

ღირსეული გზა

შუშანა ფუტკარაძე - 70

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ-სოციალური მიმართულების ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების უფროსს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ემერიტუს-პროფესორს, ცნობილ ენათმეცნიერს, ქალბატონ **შუშანა ფუტკარაძეს** შეუსრულდა დაბადებიდან 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობიდან 45 წელი. იგი ამ ხნის მანძილზე მეცნიერული კეთილსინდისიერებით იკვლევდა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარეების – აჭარის, ტაო-კლარჯეთის, ფოცხოვ-ჩილდირის, ერუშეთის ისტორიას, ეთნოგრაფიას, ფოლკლორს, ონომასტიკას, აქაურთა ქართულ მეტყველებას – დიალექტებს, უცხოეთში (კერძოდ, თურქეთში) არსებულ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას. მისი ხელმძღვანელობით შესწავლილ იქნა და აღიწერა სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 83000 ერთეულით და 10000-ზე მეტი ერთეულის მქონე ამავე სავანის არქივი. მისი ავტორობით შეიქმნა ორი მონოგრაფია: „ჩვენებურების ქართული“ და „სტამბოლის ქართული სავანე“. თურქულ ენაზე გამოვიდა მისი მნიშვნელოვანი გამოკვლევა „Istanbul gürcü ocagi“. გამოსაცემად გამზადებული აქვს წიგნები: „ჩვენებურების ქართული“ (მეორე ტომი), ნაშრომების კრებული „ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ეტიუდები“, მესხეთ-ჯავახეთსა და აჭარაში შეკრებილი ისტორიულ-ენათმეცნიერული ჩანაწერები – „ხალხური მარგალიტები“, „საბერძნეთისა და ოსმალეთის სამეფო კარის ქართველი დედოფლები“, „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო“, „ტაო-კლარჯული კილოები“ და სხვა.

პროფესორი შუშანა ფუტკარაძე ცნობილი ენათმეცნიერია. მან პირველმა შეისწავლა ტაო-კლარჯული დიალექტებისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების თავისებურებანი და ცალკე დიალექტურ ერთეულებად გამოჰყო ოთხი ახალი ქართული კილო – იმერხეული, ტაოური, ნიგალური და მაჭახლური.

აღსანიშნავია შუშანა ფუტკარაძის ღვაწლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის კვლევაში. მის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად წარმოჩნდა ამ მხარის ბევრი ისტორიული პირის ვინაობა. მათ შორის აღსანიშნავია: გიორგი ჯვარელი (შავშეთელი მოღვაწე, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ამშენებელი), იოანე შავთელი (შავშეთელი დიდი პოეტი, შოთა რუსთველის თანამედროვე, სოფელ შავთის მკვიდრი), მართა იერუსალიმელი, წამებული წმ. თევდორე აჭარელი (პირველი, საკუთარი სახელით ცნობილი წამებული აჭარიდან), ახმედ და აბას ათაბაგები - თავისუფლებისათვის წამებულნი (ფოცხოვიდან), დუდი-ხანუმ ბეჟანიძე (შერიფ ხიმშიაშვილის დედა), ენვერ, ფიქრიე და მელაათ ხიმშიაშვილები, ისკენდერ-ეფენდი ცივაძე და სხვა მრავალი.

ქალბატონი შუშანა ფუტკარაძე მრავალმხრივი მოღვაწეა, არის ხულოსა და შუახევის რაიონების საპატიო მოქალაქე, წმ. ტბელ აბუსერისძის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი; ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებულია გევონდ ალიშანის საპატიო მედლით და სხვადასხვა უწყებების მიერ გაცემული საპატიო სიგელებით.

ქალბატონმა შუშანამ მეცნიერების მწვერვალებს და საყოველთაო აღიარებას უდიდესი შრომითა და გარჯით მიაღწია. აჭარის ულამაზესი კუთხის შუახევის რაიონის სოფელ დღვანის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობაზე, რომელიც წარმატებით დაასრულა 1964 წელს და მუშაობდა ჯერ რვაწლიანი, შემდეგ კი საშუალო სკოლის დირექტორად, ხოლო 1968 წლიდან მშობლიურ ინსტიტუტს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მასწავლებლად დაუბრუნდა. სწორედ აქედან იწყება მისი პედაგოგიური საქმიანობა მშობლიურ უნივერსიტეტში, რომელიც არ გაწყვეტილა დღემდე. სამეცნიერო კვლევებისადმი მიდრეკილება მას ჯერ კიდევ მოსწავლეობის ხანაში ჰქონდა, რისი დასტურიც 1959 წელს მოსწავლეთა მეთოთხმეტე სასწავლო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება „ჩემი სოფლის ფოლკლორი“ გახლავთ, რისთვისაც მან შესაბამისი ჯილდოც დაიმსახურა. სწორედ აქედან იწყება ქალბატონი შუშანას ინტერესი ხალხური მარგალიტებისა და მშობლიური ფესვების ძიებისადმი.

მას შემდეგ, რაც მოეშვა საბჭოთა იდეოლოგიური მარწუხები, შუშანა ფუტკარაძემ დაიწყო ზრუნვა თურქეთის საქართველოში შემორჩენილ საგანძურზე. იგი შეუდგა ისტორიულ სამხრეთ-საქართველოში და მუჰაჯირთა შთამომავლებში შემორჩენილი ფოლკლორული, დიალექტოლოგიური, ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებას, რომლის შედეგიც ისეთი გამორჩეული მონოგრაფია გახლავთ, როგორიცაა „ჩვენებურების ქართული“. იგი დღემდე ზრუნავს საზღვარსმიღმა დარჩენილ ქართველებზე და ცდილობს დაეხმაროს მათ, არ გაწყვიტონ კავშირი ისტორიულ სამშობლოსთან.

ქალბატონმა შუშანამ მშობლიურ უნივერსიტეტში განვლო გზა რიგითი ლაბორანტობიდან ემერიტუს-პროფესორამდე და ყველა ეტაპზე იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული გულისხმიერებითა და თანადგომით თითოეული სტუდენტის მიმართ. ყოველდღიური მუშაობით მათში აღვივებდა მშობლიური ენის სიყვარულს. იგი იყო არაერთი მომავალი მეცნიერის მოძღვარი და შემფასებელი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამაყობს, რომ ასეთი გამორჩეული მეცნიერი და მკვლევარი დღემდე აქტიურად ეწევა აღმზრდელობით საქმიანობას.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ულოცავს ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს 70 წლის იუბილეს. უსურვებს ახალ წარმატებულ წლებს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

◎ კვალი საუკუნეში

ქართული დემოგრაფიული მეცნიერების პატრიარქი

დემოგრაფიული მეცნიერება გასული საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა კავშირში სოციოლოგიასთან ერთად ცრუ მეცნიერებად გამოაცხადეს. 1960-იან წლებამდე თითქმის სრული ვაკუუმი იყო საქართველოს დემოგრაფიული პრობლემების შესწავლაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცნობილი სტატისტიკოსის გ. გამყრელიძის მიერ 1955 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოს „დემოგრაფიული სტატისტიკა“ და ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკაში“ გამოქვეყნებულ რამდენიმე სტატიას.

1960-იანი წლების დასაწყისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უშუალოდ დემოგრაფიული პრობლემების კვლევა დაიწყო გია (გურამ) ფირცხალავამ. მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის, სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობისა და ბუნებრივი მოძრაობის საკითხების მეცნიერულ დამუშავებაში. მისი მეცნიერული მოღვაწეობის კვლევის სფერო მოიცავდა, აგრეთვე, ისტორიული დემოგრაფიის საკითხებს, საეკლესიო სტატისტიკის მონაცემების დამუშავებას და სხვ. მან თავისი სამეცნიერო სტატიებით დიდად შეუწყო ხელი საქართველოს მწვავე დემოგრაფიული პრობლემების საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანას და, ამდენად, დემოგრაფიული მეცნიერების დოსტატებას და მის განვითარებას.

ადამიანი სრულყოფილი ვერასოდეს გახდება რაოდენ დიდი მეცნიერი და სპეციალისტიც არ უნდა იყოს, თუ პიროვნული თვისებებითაც არ არის შემკული. გია ფირცხალავას მეგობრებმა და ყველამ, ვინც მას პირადად იცნობს, კარგად ვიცით, რომ მისი მეცნიერული მოღვაწეობა და პიროვნული თვისებები სრულ თანხმობაში იმყოფებიან. გიას თავისი მრწამსისთვის არასოდეს უღალატია. მართალია, დალხინებული ცხოვრება არასოდეს ჰქონია, მაგრამ ყოველთვის მცირედითაც კმაყოფილდებოდა.

დემოგრაფიაზე შეყვარებულს თვალი მსუყე ჯამაგირისკენ არასოდეს გაქცევია. ამიტომაც იყო, რომ სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებზეც არასოდეს უზრუნია, ის მთელი ცხოვრება მხოლოდ დემოგრაფიულ პრობლემებზე მუშაობს და დემოგრაფთა შორის დიდი მეცნიერის ავტორიტეტით სარგებლობს. გია ფირცხალავას ჯერეროვან პატივს მიაგებენ საზღვარგარეთელი სწავლულებიც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გია ფირცხალავას ღვაწლი ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში. მან დემოგრაფიის სიყვარულით ბევრი ახალგაზრდა მეცნიერი „დააავადა“ და მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც.

დღეს ქართული დემოგრაფიული მეცნიერების პატრიარქს გია ფირცხალავას 85 წელი შეუსრულდა. იგი კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს დემოგრაფიულ პრობლემებზე მუშაობას. ძველი ბერძენი და რომაელი მოაზროვნეების პითაგორასა და ციცერონის მოსაზრებით, მაღალ ასაკში იწყება ნაყოფის შეგროვების ხანა. ვუსურვებთ ჩვენს იუბილარს კიდევ მრავალი ნაყოფის მოკრეფას...

ანზორ თოთაძე

◎ გამოძიება

„ეს ელჩები რა გახდნენ ისეთი, რომ მათი დათმობა გვიჭირს?!“

„ნაციონალური მოძრაობა“ კვლაც ცდილობს, პოლიტიკური მსხვერპლის იმიჯი მოირგოს და მთელ მსოფლიოს დაანახოს, რომ ახალი ხელისუფლების ზეწოლის პირობებშია. საპარლამენტო უმცირესობამ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის განცხადებაც საქართველოს ახალი ხელისუფლების კრიტიკად აღიქვა, თუმცა, ექსპერტები ამბობენ, რომ გაცილებით მწვავე კრიტიკაც მოუსმენიათ აშშ-ს მხრიდან სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ.

„ვიმედოვნებთ, რომ სავარაუდო დამნაშავეების საქმეების გამოძიება ხდება გამჭვირვალედ და კანონის და პროცედურული ნორმების შესაბამისად“, – ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ვაშინგტონში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის აშშ-ში ვიზიტისას განაცხადა.

შეძლებს თუ არა „ნაციონალური მოძრაობა“ დასავლეთის განწყობა საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ ისე შეიცვალოს, რომ „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ხელისუფლებაში დაბრუნება გამარტივდეს, ძნელი სათქმელია, თუმცა, ყოფილი ხელისუფლება ამას ყველა ძალის და მეთოდის გამოყენებით ცდილობს. რა სჭირდება საქართველოს იმისათვის, რომ საერთაშორისო საზოგადოებას აღარ ჰქონდეს კითხვები და ეჭვები, ამის შესახებ ექსპერტი ქასა ქასიშვილი გვესაუბრება.

– ბატონო კახა, იყო თუ არა ჰილარი კლინტონის ეს განცხადება ისეთი მწვავე, როგორადაც უნდოდათ წარმოეჩინათ საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებს?

– გაცილებით მკაცრი რიტორიკა იყო როგორც ქალბატონი ჰილარი კლინტონის, ასევე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ განხორციელებული დაპატიმრებების შესახებ. გვახსოვს, არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციას გაუკრიტიკებია „ნაციონალური მოძრაობა“, მაგრამ ისინი აცხადებდნენ, რომ მიკერძოებული არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციებზე დაყრდნობით აკეთებენ ასეთ განცხადებებსო.

სახელმწიფო დეპარტამენტზე კი საერთოდ თქვეს, ფაქტები ვერ გადაამოწმა და მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს დაეყრდნოო. ეს ერთი საკითხია, მაგრამ მეორე ის არის, რომ კლინტონის მხრიდან არაფერი თქმულა ისეთი, რასაც არ ვიმეორებთ ჩვენ, საქართველოში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები.

იმედს ვიტოვებთ, რომ ნებისმიერი ბრალდება, რომელიც წაყენებულია კონკრეტული პირების მიმართ პროკურატურის მხრიდან, იქნება დასაბუთებული არსებითი განხილვის დროს. ჩვენ არ გვინდა ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც გაგრძელდება ისევ ისეთი მიდგომები პროკურატურის მხრიდან, როგორი მიდგომებიც იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს, როდესაც საკმარისი იყო პროკურორს ნებისმიერ ადამიანზე მოეთხოვა აღმკვეთი ღონისძიება, სასამართლო უაპელაციოდ იზიარებდა მას და არსებითი განხილვის დროს, ხშირ შემთხვევაში, პროკურატურას არანაირი მყარი მტკიცებულებები არ ჰქონდა ბრალდების დასადასტურებლად. ამის მიუხედავად კი, სასამართლოს მაინც გამოჰქონდა გამამტყუნებელი განაჩენები.

იხ. 7 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პატივგება

ქართული კულტურის ქომაგი

ალექსანდრე ებრალიძე საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს

საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ოფისს საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი იგორ კვესელავა და აკადემიის წევრები სოსო სიგუა, მურმან თავდიშვილი, ნუნუ ძამუკაშვილი, გამოჩენილი პოეტი ბაღათერ არაბული და სხვა ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები ესტუმრნენ.

საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრთა საერთო კრებამ აკადემიის წევრად აირჩია ბატონი ალექსანდრე ებრალიძე, ცნობილი ქართველი ქველმოქმედი და მეცენატი, მეცნიერ-ისტორიკოსი, ქართული მწერლობის მოამაგე და სამშობლოზე შეყვარებული მამულიშვილი. ბოლო ოთხი წელიწადია იგი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პოლიტიკურ მოვლენებში და ყოველმხრივ უწყობდა ხელს საქართველოში ჭეშმარიტი თავისუფლების დამკვიდრებას. ჩვენს საზღვარგარეთელ თანამემამულეთაგან მან ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა 1 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვება ქართველ ხალს და მის ლიდერს ბიძინა ივანიშვილს.

იგორ კვესელავამ საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალის დირექტორს ნანა ჯაფარიძეს გადასცა ალექსანდრე ებრალიძის საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის დიპლომი და მოწმობა. ქალბატონმა ნანამ მადლობა გადაუხადა სტუმრებს ბატონი ალექსანდრეს ღვაწლის დაფასებისთვის, ასევე იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც მეცნიერებისა და მწერლების ჯგუფი უწევს მას საქართველოს მოქალაქეობის აღდგენაში. სულ რამდენიმე დღის წინათ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა წერილით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას ბატონი ალექსანდრე ებრალიძისთვის მოქალაქეობის აღდგენის თაობაზე. შეხვედრაზე მონაწილეებმა ისაუბრეს იმ პროექტების შესახებ, რომლებიც საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესმა განახორციელა ამ ბოლო წლებში და იმედი გამოთქვეს, რომ ბატონი ალექსანდრე ებრალიძე კვლავ დარჩება ქართული მწერლობისა და კულტურის ქომაგად.

ნატა ნიბლაძე

◎ განსჯა

ოპერაცია „სურამი“ და სხვა თავგადასავლები

შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედებებს არც ნაცურისას მკითხავდა ვინმე და არც პოსტნაცურისას მკითხავენ, მაგრამ რადგან ახალი პრემიერი კრიტიკულ შენიშვნებს მოწყალედ ეკიდება და მოითხოვს კიდევაც, შევნიშნავ, რა უჭირს — თუნდაც ერთი რიგითი კალმოსნის ენა-პირით თუ პოზიციიდან...

ფრიად გამაკვირვა სურამში, გოგა ხაჩიძის მშობლების სახლში, დილაუთენია 15-კაციანი სპეცრაზმის „სტუმრობამ“, უორდერო, უცერემონიო ჩხრეკამ და ხანდაზმული ცოლქმრის აფორიაქება-შეწუხებამ. ნაცებისგან უკეთესი ვერაფერი ვერ გადმოიღეს? ისინიც ხომ ასე იქმნდნენ — ღამით შეჭრით, ლოგინებიდან წამოყრით, ავეჯის ამოტრიალებით?..

თქვე დალოცვილებო — იმ 15-ს მივმართავ, — თქვენი თავისთვისაც გეცლიათ ძილი და სხვებისთვისაც, დღისით მისულიყავით, თანაც 3 კაცი პნევმატური თოფის მოძიებას არ ეყოფოდა? 15 — ეს ხომ მთელი ფეხბურთის გუნდია მწვრთნელებით, მასაჟისტითა და ექიმით? სირცხვილი არ არის? ჭაბუა ამირეჯიბის საოცარი მიგნებისა მაინც არა გსმენიათ-რა, რომ ვინმესთან შევარდნაც ჯერ წესია და მერეა შევარდნა?

გოგა ხაჩიძე, ეს ანეკდოტების მხურვალე მოყვარული და აბლანჟებულ-აშაშკინებული რა ხილიც არის, ვინც არის და რაც არის, მეც კი ვიცი მრავალ სხვასთან ერთად, მაგრამ რა გამოდის — პნევმატური იარაღის მეტი თუ ვერაფერი ვერ დააბრალეთ, — ანგელოზი ყოფილა და ეგაა! და კიდევ ის გამოდის, რომ თბილისში ვერა დააკელით-რა და სურამიდან მოუარეთ, თუმცა, ბევრი ვერც იქ დააჭერით ყურებზე ხახვი... ჰოდა, გოგა უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა ტელეეკრანიდან, ვიდრე თქვენი „კომენტატორი“. ტელეხსენებაზე — ნაცურ ხანაში რაღაც არ მახსენდება, რომ ნაჩხრეკი ფონი ეჩვენებინოთ ხოლმე, ახლა კი სურამის სახლის „ინტერიერი“ უმალვე გამოფინეს... სხვათა შორის, ტელეარხებს აშკარად ეტყობა პრონაცური გადახრები, — ამბების, მოვლენების, ფაქტების გარჩევისას კომენტატორებად „ცნობადი“, ნაცურ-ნაცადი სახეები უფრო ხშირად კრთებიან ეკრანზე — გოკა გაბაშვილია თუ აკაკი მინაშვილი, დავით საყვარელიძეა თუ დავით დარჩიაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილია თუ ირმა ნადირაშვილი... მარტო ნაცურ ეკრანზე კი არა — „კავკასიაზეც“; უფრო ხშირად, ვიდრე ქაროცნელთა წარმომადგენლებისა. ეს ყველაფერი ტელეშეთქმულებას წააგავს... ეს ჩიორა და ირმა მაინც ისე ატლიკინდნენ, რომ პირდაპირ საანდაზე „სითუეიშენ“ შეიქმნა — ჩიორას ჩიორობა შეერქვა და ირემმა ენა გადმოაგდოო... გოგონები იგინი აგრე აქტიურები წინა ნაცურ ეპოქაში რაღაც არ მაგონდება...

უცნაური მეჩვენა ვანო მერაბიშვილის დაკითხვის ამბავიც. იქიდან გამოსულს შეკრებილებმა სულ „მკვლელი“ და „სისხლისმსმელი“ უძახეს, არადა „ნასკანდირევი“ მხოლოდ ყალბი პასპორტის მიზეზით იყო დასაკითხად გამოძახებული... ხალხო, ქუჩებში ბიჭების ჩახოცვის „განმკარგავს“ „იმ“ 7 ნოემბრისა და „ამ“ 26 მაისის ერთ-ერთ „შემოქმედს“ და სხვა მრავალი არაკაცობისა და არამინისტრობის ჩამდენს (როგორც წერენ და ამბობენ ან პირიქით) თუ სხვა ბრალს ვერ წაუყენებენ, „თვინიერ“ საზღვრის უპასპორტოდ თუ ყალბი პასპორტით გადაკვეთისა, რაღა გამოძიება და რაღა პროკურატურა გვყოლია, „ყუთების რევოლუციის“ შემდგომი? სულ ეგა ვართ?..

ძალიან გული მწყდება და გული მტკივა, რომ ინფორმაციული ომია თუ იდეოლოგიური, ჯერჯერობით აგებენ ქაროცნელები. არც „იმერულ“ პარლამენტში გამოიყურება ჩემი ფიქრით, მაინცდამაინც შთამბეჭდავად ახალი საპარლამენტო უმრავლესობა და მე პირადად, „უკმარისობად“ მეჩვენება.

თავს ნებას მივცემ, ანუ გავკადნიერდები და გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებას — ქაროცნეს საყურადღებოდ: ძალიან მძიმე, შემაშფოთებელი, საგანგაშოც კი ვითარებაა ამჟამად შექმნილი ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში. დიდი გალაკტიონი მიტრიალებს თავში: „ყველაფერი არის კარგად, რადგან, ყველაფერი ძალზე ცუდად არის“... და კიდევ — „რა დრო იყო და რა მტრობა, დადგა სისხლის ფეშხუმი, გადიკიდნენ აქ სვანეთი, იქით რაჭა-ლეჩხუმი“... ღმერთმა დაგვიფაროს „სისხლის ფეშხუმისაგან“, მაგრამ ახლა ახალი ხელისუფლება ერთობ გააზრებულად, მოზომილად, წინდახედულად უნდა იქცეოდეს, მოქმედებდეს, პრობლემებს გონივრულად უნდა უდგებოდეს, საქმეს დამაჯერებლად უნდა აკეთებდეს, დაკითხვა იქნება, დაპატიმრება, გასამართლება თუ განთავისუფლება-გამოშვება-ამნისტია; დანაშაულება-ბრალეულობა პრეისკურანტით, ათასობით თუ ათიათასობით ლარებით არ უნდა იზომებოდეს თუ ფასდებოდეს; ყველაფერი უნდა კეთდებოდეს ისე, რომ ვერც ერთ ნაცბელადს, „ნაცპოლიტბიუროს“ წევრსა თუ წევრობის კანდიდატს ხმა არ გაეღებოდეს, ირონიულად არ ეღიმებოდეს, ტელეკამერებისაკენ არ მიეხედებოდეს, ენა არ ექავებოდეს; რა, მათზე უკეთ ვინ იცის, ამდენი წლის სიგრძეზე რა და როგორ მიირთვეს, რა და როგორ შესცოდეს და ქაროცნელებმა ყველას უნდა დაანახონ, რომ ეს სხვებმაც იციან... და ეს ყველაფერი უცხოეთსაც უნდა დაანახონ, შტატები იქნება თუ ევროპა, რაკი თავად იმ შტატებსა თუ ევროპას არ სურთ დანახავა; ისე უნდა კეთდებოდეს, რომ უცხოეთი ვეღარ გვიქნევდეს თითს, რომ უცხოეთსაც არ გაეღებოდეს ხმა ნაცთა და მათთა მეფის, ანუ მთავარნაცის დასაცავად...

საქმე ისაა, რომ ახალი ხელისუფლების ყოველი ნაბიჯი, ქმედება, აქტი კარგად გათვლილი, აწონ-დაწონილი, მოზომილი უნდა იყოს — სხვანაირად ყოველი გაუთვლელობა, მოუზომველობა, აუწონ-დაუწონობა ნაცთა გატლეკილი ენა-პირით, უცხოელთა მზაკვრული ენა-პირითა თუ კალმით, უშუალოდ ჩვენს ახალ პრემიერზე ირეკლება, რიკოშეტირდება, „ექოვდება“; ბიძინა ივანიშვილს ებჯინება და ბრალდება, იმისი სახელის დისკრედიტებისათვის გამოიყენება, რამდენადაც ეგ ბინძური ნაცები ბატონ ბიძინაში ხედავენ მთავარ მოპირისპირეს, ძალაუფლების დაკარგვაში მთავარ „დამნაშავეს“; და ოდენ ძალაუფლების დაბრუნების სურვილი, რევანშის წყურვილი ამოძრავებთ, თორემ საქართველო, მოსახლეობა, ხალხი, საზოგადოება, ქართველობა, ეროვნულობა სულ ერთ ადგილას ეკიდათ და ახლაც ჰკიდიათ; იმ ძალაუფლებისა და რევანშის უკან კი ისევ საკუთარი კეთილდღეობა, ჩაქონიანება, ჩათბუნება ეგულებათ, როგორც ეს ამდენი წელი იყო...

მთავარ ნაცს, მთავარ ვაცს კი რაც შეეხება — ის XXI საუკუნის ბედკრულ საქართველოს მთავარი ჭირია, ბოროტებაა, დაღუპვაა. მიხეილ სააკაშვილმა ახლა დაინახა, რომ სამშობლო განსაცდელშია, რომ საქართველოსთან უნდა იყოს? როცა ამდენი წლის სიგრძეზე ამდენი ზიანი მიაყენა იმ სამშობლოსა და საქართველოს, ახლა აუტყდა ვიშვიში, ახლა შეუტოკდა პატრიოტული ნერვი, ახლა აუღვარღვარდა ნიანგის ცრემლები?..

ჰოდა, ძვირფასო ქაროცნელებო, თუ ღმერთი იზამს და საქმეს პრეზიდენტის გამოძახებამდე და დაკითხვამდე მიიყვანთ, იმას ნუკი წაუყენებთ ბრალად, იმას ნუკი გაუხსენებთ, თუ როგორ დათვრა, როგორ ჩახტა აუზში და როგორ გაჰყვიროდა — ჩემი „გამსომხებელი“ რობიკო სტურუას თავი მომგვარეთო; და მერე, დაკითხულს, თუნდაც მილიონი დოლარის გირაოს ნაცვლად ნუკი გამოუშვებთ — არსებითად ელაპარაკეთ, არსებითად დაადანაშაულეთ, არსებითად დასაჯეთ...

გერდია გედოიძე

◎ ინფორმაცია

ივანა მელაის მამა თაღლითობისთვის დააკავეს

ინტერპოლის მიერ ძებნილი და საქართველოს საზღვარზე დაკავებული სვიატოსლავ მელაი საქართველოში მცხოვრები უკრაინელი მომღერლის და ტელეკომპანია „პიკის“ ერთ-ერთი გადაცემის წამყვანის ივანა მელაის მამაა. სვიატოსლავ მელაი თბილისის აეროპორტში დაა-კავეს.

„ინტერპრესნიუსი“ კომენტარისთვის ივანა მელაის დაუკავშირდა, რომელმაც აღნიშნა, რომ „ამ ფაქტზე კომენტარს არ გააკეთებს“. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 23 ნოემბერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის დროს დააკავეს 1961 წელს დაბადებული სვიატოსლავ ვიქტორის ძე მელაი. აღნიშნული პიროვნება თაღლითობის ბრალდებით კიევის ინტერპოლის ბიუროს მიერ წითელი ცირკულარით იძებნებოდა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ გამოძიება

„ეს ელჩები რა გახდნენ ისეთი, რომ მათი დათმობა გვიჭირს?!“

(მეხუთე გვერდიდან) **— ყოფილ ხელისუფლებას ჩვენი ბიუჯეტის საფუძვლებზე კარგად რომ ჰქონდა საქმე აწყობილი საერთაშორისო მედიასთან, კარგად ვიცით და ამიტომაც არის გასაიდუმლოებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილიდან მრავალი მილიონის ბედი.**

— ასეთი შეკითხვები, თუნდაც ის მაპროვოცირებელი იყოს, ძალიან კარგია, რადგან თუ ვინმემ არაობიექტური ინფორმაცია მიიღო და გადამოწმებას ცდილობს, მისასალმებელია.

მეორე — არანაირი პარალელი უკრაინასთან არ იკვეთება. დარწმუნებული ვარ, ნაცმოძრაობის სტრატეგია თავიდანვე იყო მცდელობა, პარალელი გავლებულიყო უკრაინასთან, ანუ დემოკრატიული ხელისუფლება არჩევნებში დამარცხდა და მოვიდა დიქტატორული ხელისუფლება. შესაძლოა, ამიტომაც ჩამოვიდა სასწრაფოდ ახალაია და ითხოვდა, დამაპატიმრეთო.

ეს ყველაფერი ერთი ჯაჭვის რგოლებია, იმ პიარ-გეგმისა, რომელიც დაწერილია ძლიერი ტექნოლოგების მიერ და მისი უზრუნველყოფა ხდება ზუსტადაც ლობისტებისა და ელჩების დიდი ნაწილის მეშვეობით, რომლებიც დღესაც პოლიტიკური ნიშნით მუშაობენ. იმის უზრუნველსაყოფად მუშაობენ რომ ყოფილ ხელისუფლებას პიარი გაუკეთონ.

თუმცა, გვინდა თუ არა, ყოფილი ხელისუფლების ეს გეგმა მუშაობს და ეს დასავლეთის მხრიდან გაკეთებული განცხადებებითაც კარგად ჩანს...

— ახალმა ხელისუფლებამ ამ ყველაფერს შეიძლება მხოლოდ ერთადერთი რამ დაუპირისპიროს — პროფესიონალიზმი, მასალების დროულად მიწოდება, ისეთი ძიების განხორციელება, რომელზედაც არ დარჩება კითხვის ნიშნები არც ქართულ და არც საერთაშორისო საზოგადოებას.

სხვათა შორის, კარგა ხანია, გიგი უგულავაც სწორედ იმას ცდილობს, ეგებ როგორმე დააპატიმრებინოს თავი...

— იციან, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში ისეთი პირობები აღარ არის, როგორც მათი მმართველობის დროს იყო და ამიტომაც ითხოვენ დამაპატიმრეთო. სხვათა შორის, ცოტა მიკვირს იმ თანამდებობის პირების გადაწყვეტილება, რომლებმაც მათ მეკავშირეებს - თანაპარტიელებს ციხეში ულიმიტოდ შესვლის უფლება მისცეს. ცოტა გაუგებარია, როგორ შეიძლება ულიმიტოდ შეხვიდე პატიმართან, რომელიც იმყოფება წინასწარ გამოძიებაში. მაშინ, როდესაც გამოძიებაში მყოფ ქათმის ქურდს საკუთარ მშობლებთან შეხვედრის საშუალებას არ აძლევენ.

მით უმეტეს, ეს (ულიმიტოდ შესვლა ციხეში) ვერავის ვერ ააცილებს კრიტიკას. აქ მთავარი საქმეების არსებითი განხილვისას პროკურატურის მხრიდან არსებითი მტკიცებულებებია, რომელიც ბრალის საფუძველი გახდება.

ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის ყურადღებას არ მიაქცევს, რა იწერება უცხოურ პრესაში და გააგრძელებს იმ დაკვეთის შესრულებას რაც ხალხისგან მიიღო და ეს არის სამართლიანობის აღდგენა. ისევ ხომ არ არის მოსალოდნელი, კრიტიკის ახალი ტალღა წამოვიდეს უცხოეთიდან?

— ჩვენ ვართ სუვერენული სახელმწიფო, გვაქვს კონსტიტუცია, გვაქვს ამბიცია, რომ ვიყოთ დამოუკიდებელი სახელმწიფო და გვაქვს სურვილი, ავაშენოთ ისეთი ქვეყანა, სადაც ყველაფერი იქნება აგებული არა პოლიტიკურ შეთანხმებებზე, არამედ კანონზე, სადაც თანამედებობის პირები არ გადაწყვეტენ, როდის და როგორ უნდა იმოქმედოს კონკრეტულმა საკანონმდებლო ნორმამ, არამედ კანონი დაავალდებულებს, ნებისმიერმა ჩინოვნიკმა მისი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებნში იმოქმედოს.

ამიტომაც, სრულიად გასაგებია ბიძინა ივანიშვილის პოზიცია, რომ ის ახორციელებს მმართველობას საქართველოს კანონდებლობის მოთხოვნების საფუძველზე. ჩვენი კანონმდებლობა კი ითხოვს, რომ არ აქვს მნიშვნელობა, სად და როდის მუშაობდა ადამიანი, თუ აქვს ჩადენილი დანაშაული, აუცილებლად უნდა აგოს პასუხი.

საქართველოში უნდა შეიქმნას პრეცედენტი, რომ თანამდებობა არ იძლევა ინდულგენციას დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ეს უნდა იცოდნენ ახალი ხელისუფლების თანამდებობის პირებმაც.

რა თქმა უნდა, სუვერენული სახელმწიფო ვართ და ყველაფერი ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, მაგრამ ყველაფერი უნდა ჩაჯდეს იმ ფარგლებში, რა კურსიც გვაქვს არჩეული და ეს არის ევროპული ღირებულებებისკენ წასვლა, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტი თავისუფალი და დამოუკიდებელი სასამართლოა.

როდესაც ბერლუსკონის ან ისრაელის ყოფილ პრეზიდენტს ასამართლებდნენ, იქ კითხვის ნიშნები არავის არ გასჩენია, რატომ ასამართლებდნენ პოლიტიკური თანამდებობის პირებს. პროკურატურამ დაასაბუთა, რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. ასე რომ, დამოუკიდებელი მართლმსაჯულება ქვეყანაში აუცილებლად უნდა იყოს.

მეორეა, რომ ამ დამოუკიდებელ მართლმსაჯულებას სჭირდება რეალური მტკიცებულებები. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აბსოლუტურად ყველა ბრალდება იყოს კარგად დასაბუთებული, რადგან დარწმუნებული ვარ, ის სასამართლო, რომელიც ამდენ ხანს პოლიტიზირებული იყო, დღესაც ამ პრაქტიკას აგრძელებს.

ვურჩევდი პროკურატურას, კარგად მოემზადოს თითოეული ბრალდების დაყენებამდე და შს სამინისტრომ ნაკლებად დაუშვას ისეთი შეცდომები, რომელთა მიმართაც საზოგადოებაში ეჭვები ჩნდება.

— მაგალითად?

— თუნდაც ის, რომ კალანდაძის დაკავების ფორმა მისაღები არ არის. ამავდროულად ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონოდ ტარების საფუძველზე დაპატიმრებები ეჭვს იწვევს.

— გუნავას გულისხმობთ?

— დიახ, ამ 8 წლის მანძილზე იმდენად მოტივირებული იყო ასეთი დაპატიმრებები, რომ მსგავსი ქმედება მაშინვე ეჭვს ბადებს საზოგადოებაში.

ისე, ის კი მიკვირს, როდესაც დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ აცხადებს, რომ ადამიანს ორი იარაღის ტარების უფლება ჰქონდა, მას როგორ შეიძლება აღმოუჩინო მესამე იარაღი, რომელსაც უკანონოდ ატარებდა და ეს ხომ ცხადყოფს, რომ იარაღი ჩაუდესო. ერთი გადახედონ, ამ 9 წლის მანძილზე რამდენი ადამიანია ისეთი, რომელსაც ოფიციალურად ჰქონდა იარაღის ტარების უფლება და სულ სხვა იარაღით დააპატიმრა ნაცმოძრაობის დროს შს სამინისტრომ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ვიცხოვროთ „სამ დურაკ“-ის პრინციპით.

ჩვენი ამოცანაა საზოგადოებას ნაკლები კითხვები გაუჩნდეს სამართალდამცველების მოქმედებაზე, კიდევ რომ არ გამძაფრდეს კრიტიკა სამართალდამცველების და შესაბამისად, საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ. მით უმეტეს, იმ ხალხის მიმართ, ვის მიმართაც პროკურატურას კითხვები უჩნდება, იმდენი კითხვები არსებობს საზოგადოებაში კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, რომ პრიორიტეტი არ უნდა იყოს იარაღის უკანონოდ ტარება და ნარკოტიკები.

— ბოლო ერთი თვის მანძილზე ევროპა იყო შედარებით ხისტი საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ, ვიდრე ამერიკა — ამას რა ახსნა შეიძლება ჰქონდეს?

— ეს აიხსნება მარტივად. ბრიუსელში „ნაციონალურ მოძრაობას“ ბევრად უფრო ძლიერი ლობისტები ჰყავს. ამის გარდა ივანიშვილმა სულ ახლახანს მიმართა ლობისტურ კომპანიებს, მაგრამ ნაცმოძრაობა ამ ლობისტურ ჯგუფებთან ურთიერთობს უკვე 15 წელია. გარდა ამისა, მათ ჩამოუყალიბდათ პირადი კონტაქტები, კონკრეტულ ჩინოვნიკებთან და ამ კონტაქტებიდან გამომდინარე, მათ ამათი სჯერათ.

შესაძლოა, ვინმესთან ოფიციალური შეხვედრა გამართო, მაგრამ როდესაც ეს ყველაფერი პირად კონტაქტებზეა აგებული და წლების მანძილზე ერთად კარგი დრო აქვთ გატარებული, რა თქმა უნდა, იმ ადამიანების მიმართ სიმპათიებიც აქვს და ინფორმაციასაც სხვანაირად იღებენ.

ამას ემატება ზოგიერთი ელჩის მოქმედება, როდესაც ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში ბიძინა ივანიშვილისგან მტრის ხატს, „ქართული ოცნებისგან“ კი რუსეთის შპიონურ ორგანიზაციას ხატავდნენ, ეს ელჩები ახლაც იმავე რიტორიკით აგრძელებენ მუშაობას. ვხედავ იმასაც, რომ საქართველოს პრეზიდენტი ცოცხალი თავით არ ცვლის ელჩებს.

— პრეზიდენტის სიჯიუტე რამდენად ადასტურებს იმას, რომ ელჩები ახალი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მუშაობენ და მათ ახლა ეს „განსაკუთრებული“ მისია აქვთ შესასრულებელი?

— ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ახლად დანიშნულ პრემიერს როდესაც ბრიუსელში ვიზიტისას ელჩი არ ხვდება, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ამ ელჩს არ უნდოდა პრემიერთან შეხვედრა, რადგან ის ასრულებდა სხვა გუნდის პოლიტიკურ დაკვეთას.

ამ ელჩების საუბრებს თუ გავანალიზებთ არჩევნებამდე, გგონიათ, მას შემდეგ რამე შეიცვალა? — არაფერი.

— გამოდის, რომ რასაც დასავლეთი ითხოვს, ანუ ოპოზიციასთან თანამშრომლობა, სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებიდან გამომდინარე, სულ უფრო შეუძლებელი ხდება...

— დღეს, როდესაც ამბობენ, რომ არიან ოპოზიციაში, რეალურად, ასე არ არის — ისინი ფლობენ საპრეზიდენტო ბერკეტებს, რაც ძალიან დიდია, და ადგილობრივ თვითმმართველობას თავიდან ბოლომდე, ამას ემატება სასამართლო ხელისუფლება.

მე რომ მკითხო, დღეს „ქართული ოცნება“ უფრო ნაკლებ ბერკეტებს ფლობს, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობა“. თუმცა ამ ყველაფერს უნდა დაუპირისპირდეს მხოლოდ და მხოლოდ ძლიერი პროფესიონალებისგან შემდგარი გუნდი, რომელსაც არ შეეშლება რაღაც ისეთი, რომ ნაცმოძრაობამ, იგივე ლობისტების მეშვეობით, მიიტანოს საერთაშორისო საზოგადოებამდე.

ლალი ზირაძიშვილი

For.ge

შპს „საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯი“

2012 წლის 5 დეკემბრიდან აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად 4 წლის ვადით

შპს „საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯი“-ს რექტორის 2012 წლის 3 დეკემბრის №18 ბრძანების საფუძველზე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლისა და შპს „საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის“ აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო კომისიის დებულების“ მოთხოვნათა სრული დაცვით, შპს „საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯი“ აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

1. ფინანსების სპეციალობაზე - 5 ვაკანსია:

ა) სრული პროფესორი – 1 ვაკანსია.
ბ) ასოცირებული პროფესორი – 3 ვაკანსია.
გ) ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია.

2. საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობაზე – 5 ვაკანსია:

ა) სრული პროფესორი – 1 ვაკანსია.
ბ) ასოცირებული პროფესორი – 3 ვაკანსია.
გ) ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია.

3. მენეჯმენტის სპეციალობაზე – 5 ვაკანსია:

ა) სრული პროფესორი – 2 ვაკანსია.
ბ) ასოცირებული პროფესორი – 2 ვაკანსია.
გ) ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია.

4. ტურიზმის მენეჯმენტის სპეციალობაზე – 3 ვაკანსია:

ა) სრული პროფესორი – 1 ვაკანსია.
ბ) ასოცირებული პროფესორი – 1ვაკანსია.
გ) ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია.

5. სხვა დისციპლინებში – 8 ვაკანსია:

ა)ასოცირებული პროფესორი(ინგლისურში) – 1 ვაკანსია.
ბ)ასოცირებული პროფესორი(ისტორიაში) – 1ვაკანსია.
გ)ასოცირებული პროფესორი(ფილოსოფიაში) – 1ვაკანსია.
დ)ასოცირებული პროფესორი(ფილოლოგიაში) - 1ვაკანსია.
ე)ასოცირებული პროფესორი(სამართალმცოდნეობაში) – 1 ვაკანსია.
ვ) ასოცირებული პროფესორი(პოლიტოლოგიაში) – 1 ვაკანსია.
ზ) ასოცირებული პროფესორი(ინფორმატიკაში) – 1 ვაკანსია.
თ) ასოცირებული პროფესორი(მათემატიკაში) – 1 ვაკანსია.

საკონკურსო პირობები

1. ძირითადი მოთხოვნები კანდიდატებისადმი

ა) სრულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ბ) ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, ან დოქტორანტი.

2. **ნარმოსადგენი დოკუმენტაცია**

ა) სამივე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს:

— განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
— პირადობის მოწმობის ასლი;
— ავტობიოგრაფია (CV);
— ორი ფოტოსურათი;
— სამოტივაციო წერილი (მხოლოდ ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე);

შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი. ასისტენტ-პროფესორის შემთხვევაში დასაშვებია ასევე დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობის წარმოდგენა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, სადაც ის იოლება დოქტორანტად.

ბ) სრული და ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილემ დამატებით უნდა წარმოადგინოს:

— სრული პროფესორის შემთხვევაში სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის, ხოლო ასოცირებული პროფესორის შემთხვევაში არანაკლებ სამი წლის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
— ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის კვლევის პოტენციალს;
— სილაბუსი, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ფორმით (ფორმა შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ვებ-გვერდიდან; http://aleksandre.edu.ge. ან მიიღოთ კოლეჯში).

შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აკადემიურ თანამდებობებზე ასარჩევი კანდიდატის გამოსავლენად გათვალისწინებული იქნება:

ა) გამოქვეყნებული ნიგნები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო კრებული, საცნობარო ლიტერატურა და სამეცნიერო პუბლიკაციები;

ბ) სამეცნიერო კონფერენციების (სიმპოზიუმები, კონგრესები, სესიები) ორგანიზება, მონაწილეობა;

გ) პროფესიული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, სალექციო კურსების, მოდულების ხელმძღვანელობა/მონაწილეობა;

დ) საკონკურსო მიმართულების შესაბამისი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენციების დამადასტურებელი სხვა აქტიურობები (სამეცნიერო ჟურნალის რედ. კოლეგიის წევრობა და სხვ.)

საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2013 წლის 11 იანვრიდან 2013 წლის 18 იანვრის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის კანცელარიაში. მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №45, VI სართული.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2013 წლის 24 იანვარს. კონკურსის შედეგები შეგიძლიათ იხილოთ კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

დაინტერესებულმა პირებმა აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საბაკალავრო კოლეჯის ვებ-გვერდზე www.aleksandre.edu.ge ან მობრძანდეთ კოლეჯის ადმინისტრაციაში.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომრებზე: 231 18 50; მობ: 593 23 99 58 ან მოგვწერეთ ელექტრონულ ფოსტაზე temuri@aleksandre.edu.ge ან shescollege@yahoo.com.

კოლეჯის ადმინისტრაცია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„ქართული ოცნება“: სააკაშვილს არ აქვს ხელშეუხებლობის გარანტია

ვიცე-პრემიერმა, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ორშაბათს განაცხადა, რომ „მცდარია“ აზრი იმის შესახებ, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს აქვს ხელშეუხებლობის გარანტია ამერიკის შეერთებული შტატებისგან, და რომ მის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევის დამტკიცების დროსაც კი არ წარსდგებს იგი კანონის წინაშე, გადმოგვცემს ჩვენი კორესპონდენტი თბილისიდან.

„ეს მცდარი აზრია, — განუცხადა ალასანიამ გაზეთ „ასავალ-დასავალს“. — თუ ვინმემ დანაშაული ჩაიდინა, მას არ ექნება იმუნიტეტი. არავის, დაწყებული პრეზიდენტიდან და დამთავრებული ნებისმიერი ჩინოვნიკით“. „კანონის დამრღვევი ვერ ასცდება სასამართლოს“, — ხაზგასმით აღნიშნა მან.

თავის მხრივ, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ტელეკომპანია „მაესტროს“ განუცხადა, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის გვარი „სხვადასხვა საქმეში ფიგურირებს“.

მისი სიტყვებით, მათ შორისაა 2006 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი ჩინოსნების მიერ ბანკის ჩინოვნიკის სანდრო გირგვლიანის მკაცრი მკვლელობის საქმეც.

როგორც ჩვენი გაზეთი იტყობინებოდა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ექსპრემიერ ვანო მერაბიშვილს მოუწოდა, „გამოიჩინოს მამაცობა“ და აღიაროს ქვეყნიდან გასვლის მცდელობის ფაქტი გადაკეთებული პასპორტით, 30 ნოემბერს.

„ძალიან სამარცხვინოა, რომ ყოფილმა პრემიერმა, იგივე შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსხელმძღვანელმა არ აღიაროს ეს ფაქტი, — თქვა ირაკლი ღარიბაშვილმა. — დამზადდა პასპორტი ვიღაც ლევან მაისურაძეზე. ეს დაფიქსირეს პოლიციის თანამშრომლებმაც და პროტოკოლის სამსახურის მუშაკებმაც“.

„მე პირადად ძალიან მრცხვენია, რომ მერაბიშვილი არ აღიარებს ამ ფაქტს“, — თქვა მინისტრმა. „მერაბიშვილი უბრალოდ ცრუობს, როდესაც ამას არ აღიარებს“, — აღნიშნა მან.

მისი სიტყვებით, გამოძიება ამ საქმესთან დაკავშირებით გაგრძელდება „კლასიკურად“ და იგი დაადასტურებს მომხდარის ყველა ვითარებას.

მერაბიშვილი ხელმეორედ იქნება გამოძახებული შინაგან საქმეთა სამინისტროში დაკითხვაზე ყალბი პასპორტით საზღვრის გადაკვეთის მცდელობის ფაქტთან დაკავშირებით უარის გამო — ითანამშრომლოს გამოძიებასთან — პირველი ვიზიტის დროს, განაცხადა სამინისტრომ კვირას.

„ის შეეცადა უარეყო უტყუარი ფაქტები, რომლებიც დაადასტურა გამოძიებამ, ამიტომ იგი გაგრძელდება. დაკითხვაზე გამოძახებული იქნებიან თავად ექსპრემიერიც, პრეზიდენტის პროტოკოლის სამსახურის თანამშრომლებიც“, — იტყობინებოდა შინაგან საქმეთა სამინისტრო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 30 ნოემბერს მერაბიშვილი სახელმწიფო დელეგაციის შემადგენლობაში მივიდა თბილისის აეროპორტში ერევანში გაფრენის მიზნით. „საპასპორტო კონტროლის გავლის დროს პრეზიდენტის პროტოკოლის სამსახურის თანამშრომელმა საზღვრის პროკურორს წარუდგინა მერაბიშვილის პასპორტი. კანონით დაწესებული პროცედურის გავლის დროს სასაზღვრო პროკურორმა აღმოაჩინა, რომ სინამდვილეში ეს პასპორტის გაცემული იყო ვინმე მაისურაძე, მაგრამ მასში ჩაკრული იყო მერაბიშვილის ფოტო, დაადასტურა სამინისტრომ.

ერევანში სახელმწიფო დელეგაციის ვიზიტისთვის დაბრკოლება რომ არ შექმნილიყო, მერაბიშვილს მიეცა შესაძლებლობა, წარედგინა ნამდვილი პასპორტი, მის წინააღმდეგ დამოუკიდებლად არ განხორციელდა სამართლებრივი პროცედურები. „30 ნოემბერს გვიან საღამოს მერაბიშვილმა დატოვა აეროპორტი საქართველოს პრეზიდენტის ესკორტთან ერთად, რასთან დაკავშირებითაც არ იყო შესაძლებლობა, განხორციელებულიყო კანონის მიერ დაწესებული საგამოძიებო ღონისძიებანი“, — ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობაში.

თავად ექსპრემიერმა უარყო ბრალდება, მას აბსურდული უწოდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა, რომლებიც თან ახლდნენ დელეგაციას ერევანში ევროპის სახალხო პარტიის სამიტზე, განაცხადეს, რომ „მერაბიშვილს არ დაუტოვებია თბილისის აეროპორტი პრეზიდენტის ესკორტთან ერთად, წავიდა თავისი ავტომანქანით და მისთვის არავის შეკითხვა არ მიუცია“. 15 ოქტომბრიდან ყოფილი პრემიერი არის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი იყენებს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პოლიციას რეპრესიურ მანქანებად, განაცხადა შაბათს საქართველოს მთავრობის ექსხელმძღვანელმა ვანო მერაბიშვილმა. შაბათს მერაბიშვილი დაკითხეს ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროში როგორც მოწმე ყალბი დოკუმენტის გამოყენების გამოკვლევის მსვლელობაში და სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობაში. როგორც უწყება აღნიშნავდა, ეჭვმიტანილმა „პრაქტიკულად არ ისურვა თანამშრომლობა გამოძიებასთან, თავი აარიდა საკითხებზე კონკრეტულ პასუხებს, მისი ჩვენებანი იყო ზედაპირული და ზოგჯერ ურთიერთგამორიცხავი, ის შეეცადა, უარეყო გამოძიების მიერ დადგენილი უტყუარი ფაქტები“.

თავად ექსპრემიერმა დაკითხვის შემდეგ უარი განაცხადა ეცნობებინა ჟურნალისტებისთვის, თუ რა შეკითხვები დაუსვეს მას შინაგან საქმეთა სამინისტროში. 44 წლის მერაბიშვილის სიტყვებით, „პოლიციაში ყოფნა სიმბოლური იყო“.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

ექსგენერალური პროკურორი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს სააკაშვილის საპრეზიდენტო ბედი

ორშაბათს სამართლის დოქტორმა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ, ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა გია მეფარიშვილმა მოუწოდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჩაერიოს იმის განსაზღვრაში, თუ როდის იწურება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პოსტზე ყოფნის ვადა, გადმოგვცემს ჩვენი კორესპონდენტი თბილისიდან.

„2008 წლის 13 იანვარს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აღიარა სააკაშვილი პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების გამარჯვებულად. პრეზიდენტი ირჩევა ხუთი წლით. ლეგიტიმური ვადა იწურება 2013 წლის იანვარში“, — განაცხადა მეფარიშვილმა.

ამავე დროს, შეგვახსენებს იგი, ძირითად კანონში 2006 წელს შეტანილი ცვლილებების თანახმად, პრეზიდენტის არჩევნები ეწყობა ამ პოსტზე ყოფნის ხუთი წლის ვადის გასვლის კალენდარული წლის ოქტომბერში.

„ამრიგად, სააკაშვილის უფლებამოსილება აღმოჩნდება ხუთი წელი და ათი თვე, მაგრამ არავის აქვს უფლება, უკანონოდ მიითვისოს ხელისუფლება“, — განაცხადა გია მეფარიშვილმა. „საჭიროა საკონსტიტუციო სასამართლოს ჩარევა, რათა განმარტოს ერთი მეორის საპირისპირო ნორმები“, — განაცხადა მან.

მისი სიტყვებით, „ეს არის ერთადერთი ცივილიზებული გზა“.

როგორც ჩვენი გაზეთი იტყობინებოდა, მთელ საქართველოში აგროვებენ ხელმოწერებს, რათა სააკაშვილი იანვარში წავიდეს. აქცია დაიწყო 14 ნოემბერს თბილისში, ორი კვირის შემდეგ კი გავრცელდა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. არასამთავრობო ორგანიზაციას „ერთსულოვნება ადამიანის უფლებისთვის“, საზოგადოებრიობის ცნობილი წარმომადგენლების მხარდაჭერით, განზრახული აქვს, შეაგროვოს 200 ათასი ხელმოწერა, რათა გადასცეს ის პარლამენტს, რის შემდეგაც კანონმდებლები ვალდებული არიან, განიხილონ ეს საკითხი. აქციის ინიციატორები ამბობენ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის კიდევ ერთი წლით პოსტზე ყოფნა (პრეზიდენტის არჩევნები კი გაიმართება 2013 წლის შემოდგომაზე) საქართველოს ზიანს მოუტანს.

აქცია 4 იანვარს დამთავრდება, პრეზიდენტის არჩევნების ხუთ წლისთავამდე ერთი დღით ადრე. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების წარმომდგენლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ ამ აქციით ისინი „წერენ საქართველოს მორალურ კონსტიტუციას“.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

იანუკოვიჩმა მიიღო უკრაინის მთელი მთავრობის გადადგომა

ამის მიზეზია მთავრობის თავმჯდომარის პარლამენტში არჩევა. კანონის თანახმად, მასთან ერთად გადადგება მთელი მინისტრთა კაბინეტი. ახალი პრემიერ-მინისტრი უნდა აირჩიოს პრეზიდენტმა, კანდიდატურას კი დაამტკიცებს უმაღლესი რადა.

ნიგერიაში ისლამისტები თავს დაესხნენ სოფელს და 10 ქრისტიანი მოკლეს

ინციდენტი მოხდა სოფელ ჩიბოკში. ბოევიკები მივიდნენ ღამით და ჯერ გადაწვეს ქრისტიანების სახლები, შემდეგ კი დაიწყეს ხალხის დახოცვა. გადარჩენილებმა შემდგომ ათი გვამი დაითვალეს. თავდამსხმელების „ხელწერა“ მოგვაგონებდა ადგილობრივი ისლამისტების ბოევიკებს.

ორი თვის შემდეგ პუტინს უამრავი მივლინება ელოდება: პირველი - თურქეთში

როდესაც თურქეთის პრემიერს შეხვდება, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი განიხილავს მწვავე თემებს — სირია და, ალბათ, ნავთობსადენები. შემდეგ პუტინს ელოდებიან აშხაბადში, იქიდან უნდა გაემგზავროს სოჭში, 12 დეკემბერს დაბრუნდეს მოსკოვში — კონსტიტუციის დღეს, ამ დროს ელოდებიან ფედერალური კრების გზავნილს: „კრემლში სურდათ, შეეხსენებინათ, რომ პრეზიდენტი არის ძირითადი კანონის შესრულების გარანტი“.

ჩრდილოეთი კორეის რაკეტა შეიძლება აფრინდეს უკვე სამი-ოთხი დღის შემდეგ, იტყობინება დაზვერვა

ამჟამად დაყენებულია რაკეტის პირველი საფეხური. დანარჩენი ორი შეიძლება მზად იყოს უკვე სამი-ოთხი დღის შემდეგ, მიაჩნიათ სამხრეთი კორეის მზვერავებს. კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში განაცხადეს, რომ გაშვება მოხდება 10-დან 22 დეკემბრის შორის პერიოდში. დასავლეთი და რუსეთის ფედერაცია მოუწოდებენ ფხენიანს, გადაიფიქროს.

ჩრდილოეთ კალიფორნიაში ნაპირები გადალახა მდინარე რუსკაიამ

უახლოესი დღე-ღამის განმავლობაში ამ მდინარის, აგრეთვე მდინარე ნაპის წყალმა შეიძლება დატბოროს ქალაქები გერნევილი და თრაკი. მცხოვრებლები და მაშველები აგებენ დამბებს ქვიშით სავსე ტომრებისგან. ევაკუაციისთვის ემზადება 16 ათასზე მეტი კაცი. 5 ათასი კაცი დარჩა ელექტროენერგიის გარეშე.



დროის კვალდაკვალ: ბელარუსმა მეტალურგებმა დაამზადეს კალენდარი ქარხნის შიშველი თანამშრომელი ქალების სურათებით

„ქალის სხეულის და გამდნარი ლითონის სილამაზე — ნათესაური ცნებებია, რომელთა დამახასიათებელი ნიშანია პლასტიკურობა და ბუნებრივი მიმზიდველობა“, — განმარტავენ თემის არჩევანს ქარხანაში. 2013 წლის კალენდრისთვის გაშიშვლდნენ ინჟინრები, ლაბორანტები, კონტროლიორები და საწყობის მუშაკები. იქნება სხვა კალენდარიც — ბავშვების ნახატებით „მინდა მეტალურგი გავხდე!“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

„დაგვიანებული აღსარება“, შესაძლოა, ეკრანზე ვისილოთ

რუსთაველზე, ოპერასთან მხვდება მერაბ ბერაძე, მიკითხვა-მოკითხვის, ერთი-ორი ანეკდოტის მოყოლის შემდეგ მეუბნება, ცნობილ კინორეჟისორ ლევან ანჯაფარიძეს ჩემი ლექსის **— „დაგვიანებული აღსარების“** მიხედვით, ჩაფიქრებული აქვს დედაზე მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღებაო.

ცხადია, გამეხარდა...

მერაბ ბერაძე ერთ დროს საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელეკომენტატორი იყო, რომლის საავტორო პროგრამა „ენერგია“, ვარდების რევოლუციის მშობიარობას გადაჰყვა. დასახელებული იყო წლის ყველაზე პოპულარულ ჟურნალისტად. არის იუნესკოს პრემიის პირველი ლაურეატი და ბევრ სხვა ჯილდოსთან ერთად, მინიჭებული აქვს ორდენი: „მეცნიერებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის“. არის მწერალთა კავშირის წევრი, წიგნების, პიესების, კინოსცენარების ავტორი, იბრძოდა აფხაზეთში, იყო ეროვნული გმირის ჟიული შარტავას სპეცჯგუფის წევრი. მისი ლექსი „დაგვიანებული აღსარება“ პირველად თამაზ წივწივაძემ დაბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში“. მახსოვს, ლექსი უმალ იმდენად პოპულარული გახდა, რომ პრაქტიკულად არ დარჩენილა ჟურნალ-გაზეთი, რადიო, ტელევიზია, რომ არ გამოხმაურებოდა ამ ნაწარმოებს. ამის შემდეგ იგი გამოიცა ცალკე ბუკლეტად. შობა-ახალ წელს, ავტორი და ბუკლეტის მხატვარი გიორგი ავსაჯანიშვილი მიიღო უწმინდესმა და უნეტარესმა. მე მოწმე ვარ, თუ რა რეაქცია ჰქონდა პატრიარქს ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ. მას აუკანკალდა ხმა, თვალებში ჩაუდგა ცრემლი, გულში ჩაიკრა ავტორი და უთხრა ის, რაც, როგორც თვით მერაბ ბერაძე ამბობს, ცხოვრების ბოლომდე დიდ საჩუქრად გაჰყვება: „ჩემო მერაბ! არაჩვეულებრივი ოდა დაგიწერია დედაზე და არა მარტო ლოცვა-კურთხევას გაძლევ, არამედ მას წირვა-ლოცვის დროსაც გამოვიყენებო!“ და ეს იყო ყველაზე ღირებული რეცენზია, რომელზეც ავტორი ვერც იოცნებებდა. აქვე გეტყვით იმასაც, რომ სამღვდელოების აზრით, ეს იმდენად მაღალი ღირებულების ოდაა, რომ უნდა იყოს ყველა ოჯახში და ისწავლებოდეს ყველა სკოლაში, რადგან მას დიდი სითბოსა და სიყვარულის დათესვა შეუძლია შვილებსა და მშობლებს შორის... ნაწარმოებში ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევთ ქვეყნად ყველაზე ახლობელ და ძვირფას ადამიანებს — მშობლებს, განსაკუთრებით სიბერეში შესულ დედას და შემდეგ, როცა იგი უკვე ცოცხალი არ გვყავს, მუდმივი სინანული გვიწვავს გულს.



უპირველესად ცოდვა მაქვს დედის,
აი, მიზეზი ცრემლის და სევდის,
ვერ მოვეფერე, როცა დაბერდა,
როცა მიცდიდა ღია სარკმელთან.
გათენებამდე ტანჯვით მელოდა,
ლოდინი გახდა მისი ხელობა,
ლოდინი გახდა მისი ხელობა.
მე სხვაგან ლაღი და სიტყვაუხვიც
დედასთან ვიყავ ძუნწი და უტყვი.

როგორც ჩანს, ეს თემა ახლობელი ყოფილა არა მარტო ქართველებისთვის, არამედ პრაქტიკულად ყველასთვის და ამიტომ იგი ითარგმნა მსოფლიოს რამდენიმე ენაზე... მოსკოვში კი, იგი აამეტყველა ჩვენთვის კარგად ცნობილმა პოლიტიკოსმა და მეცნიერმა ევგენი პრიმაკოვმა, რომელმაც სკოლის წლები, სწორედ თბილისში გატარა. რამდენადაც ვიცით, ლექსი განსაკუთრებით ახლოს მიიტანა გულთან ცნობილმა მხატვარმა ზურაბ წერეთელმა. ამის შესახებ იუწყებოდა პრესა და რადიო. რამდენიმე რეჟისორმა გამოთქვა სურვილი, რომ ამ ოდის მიხედვით გადაიღოს მოკლემეტრაჟიანი ფილმი.

დაბოლოს, აი, ცნობილი კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე, რომლის ფილმებს „მას საქართველო ჰქვია“, „არის ასეთი ქვეყანა“, „ორმაგი სახე“ დიდი წარმატება ჰქონდათ სხვადასხვა კინოფესტივალებზე.

როგორც დასაწყისში აღვნიშნე ლევან ანჯაფარიძეს ნდომებია ამ ლექსის მიხედვით მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღება, თუ, რა თქმა უნდა, ცოტაოდენი დაფინანსებაც გამოჩნდება. მისი გეგმა დაახლოებით ასეთია: ლექსის კითხვას სვეტიცხოველში, წირვის დროს იწყებს უწმინდესი, შემდეგ განაგრძობს თენგიზ არჩვაძე, ხოლო მოსკოვში — რუსეთის პატრიარქი კირილი და მთარგმნელი ევგენი პრიმაკოვი...

— თუკი ეს გეგმა განხორციელდა, — ამბობს მერაბ ბერაძე, — ამ ფილმს შეეძლება ოდნავ მაინც გაათბოს რუსეთ-საქართველოს გაყინული ურთიერთობა. დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ფაქტია, რომ ორივე მხარე ყოველნაირად უნდა ეცადოს, კეთილმეზობლური და თანაბარუფლებიანი ურთიერთობის დამყარებას, რადგან შექმნილ სიტუაციაში, ზარალდება როგორც საქართველო, ისე რუსეთი. გარდა ამისა, ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ერთმორწმუნე ერი ვართ და ეს იქნება პირველი დოკუმენტური ფილმი, სადაც ერთად გამოჩნდება ორი ქვეყნის პატრიარქი.

როგორც იტყვიან, ღმერთი თქვენკენ, ჩვენო მერაბ!

სამთაწმინდე

საქართველოს კულტურის მინისტრს ბატონ გურამ ოდიშარიას

ბატონო გურამ, ღირსეულ მამულიშვილსა და გამორჩეულ მწერალს, გულით გილოცავთ საქართველოს კულტურის მინისტრობას.

ახალი ხელისუფლების და, კერძოდ, ბატონი ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულებას რომ ვხედავთ ეროვნული საქმეებისადმი, და, თქვენი მხურვალე გულის ამბავი პირადად რომ ვიცი, ამიტომაც გადავწყვიტე, შემეწუხებინეთ და დღის სინათლეზე ერთხელაც გამომეტანა საკითხი, რომლისთვისაც „ნაცმოძრაობამ“ და, თვით, სააკაშვილმა და უგულავამ თავი არ შეიწუხეს.

საკითხი ეხება ჩვენი ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტის, უნდა დამეთანხმოთ, დიდი პოეტის, ლადო ასათიანის მთაწმინდაზე ასვენებას და მისი ძეგლის, რომლის ავტორიცაა მოქანდაკე გოგი შხვაცაბია, რუსთაველის გამზირზე დადგმას.

26 წლის ასაკში გარდაცვლილი ლადო ასათიანი, შეიძლება ითქვას, კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორ წარმოაჩენს შემოქმედს დრო, როგორ გადაასვენა მადლიერმა ქართველმა ხალხმა „სალაღობოს“ ავტორი ვაკის სასაფლაოდან დიდუბის პანთეონში, ხოლო დღეს, ქვეყანა დამიდასტურებს, თუ როგორ არის იგი უკვე ამაღლებული მთაწმინდის პანთეონამდე, როგორი ყოველდღიური და „საჭირო“ პოეტი გახდა იგი ამერ-იმერისთვის.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მოქანდაკე გოგი შხვაცაბაიამ გაიმარჯვა ლადო ასათიანის ძეგლის შესაქმნელად გამართულ კონკურსში, აქვს ქანდაკების რამდენიმე ვარიანტი, რომელთა მთავარი აზრია პოეტის ცნობილი სტრიქონი — „რუსთველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს ღმერთმა“, ანუ, რაღა თქმა უნდა, ძეგლი რუსთაველზე უნდა დადგმულიყო. ადგილიც შეირჩა — მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ტერიტორია... 2006 წელს ქალაქის მერიამ დადგენილებაც კი გამოიტანა, რომ დადგმულიყო, მაგრამ... გამოიტანა და გამოიტანა... პოეტის ქალიშვილის ქალბატონ მანანა ასათიანისა და ბატონ გოგი შხვაცაბაიას სააკაშვილის სახელზე შედგენილი წერილი კი კანცელარიას ვერა და ვერ გასცდა...

თქვენ უნდა დაძრათ ეს საქმე ადგილიდან, ბატონო გურამ, როგორც პოეტმა, როგორც სიტყვის ოსტატმა! მწერალთა კავშირი, ქართველი მწერლები, მთელი ქართული საზოგადოება, დარწმუნებული ვარ, დიდი კმაყოფილებით შეხვდება ამ ფაქტს, რამდენისგან გამიგონია, ლადო ასათიანი, სწორედაც რომ „სამთაწმინდეაო“. გასაგებია, რომ ახალ ხელისუფლებას უამრავი გადაუდებელი საქმე აქვს, მაგრამ ნელ-ნელა მივყვეთ, ბატონო, რათა სამართალმა პური ჭამოს, ახალი ხელისუფლების მთავარი დევიზიც ხომ ასეთია: „მიეზღოს კეისარს კეისრისა“.

ჰოდა, აღასრულეთ!

პატივისცემით
ვილენ მარდალეიშვილი

◎ არის წინადადება!

მცირე სიმძლავრის ატომური ენერგეტიკა

ჩერნობილისა და ფუკოსიმას ატომურ ელექტროსადგურებში მომხდარმა ავარიებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ატომური ენერგეტიკის განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ გამართულად მომუშავე ატომური ელექტროსადგურებს ეკოლოგიური ზიანი არ მოაქვს, მაღალი სიმძლავრის ატომური ელექტროსადგურების ბლოკების მწყობრიდან გამოსვლა ყოველთვის გარკვეული საფრთხის მატარებელია.

DCNS თანამშრომლობს ენერგეტიკულ კომპანიებთან AREVA და EDF-თან, ასევე, საფრანგეთის ატომურ და ალტერნატიული ენერგიების სახელმწიფო კომისიასთან (CEA). თუ ეს პროექტი უახლოეს მომავალში მთლიანად შეთანხმდა, წყალქვეშა ატომური ელექტროსადგურის პროტოტიპი 2016 წლისთვის დამზადდება. ფრანგები ვარაუდობენ, რომ 20 წლის განმავლობაში 200-მდე Flexblue-ს დანადგარს გაყიდიან.

თეორიულად დადგენილია, რომ ელექტროსადგურების მწყობრიდან გამოსვლის საფრთხე მკვეთრად იზრდება ელექტროსადგურების (მათ შორის ატომური ელექტროსადგურების) სიმძლავრის გაზრდით. ამისი ნათელი მაგალითებია არა მარტო ჩერნობილის, არამედ კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურზე მომხდარი ავარიები. როგორც ვხედავთ, მიზაშეწონილია ელექტროენერგიის მიღების მიზნით მცირე სიმძლავრის (50-100 მგვტ) ბლოკების გამოყენება. ცხადია, ამ თვალსაზრისით ენგურჰესის კაშხალი დიდ საფრთხეს წარმოადგენს, ხოლო ხუდონჰესისა და სხვა დიდი კაშხალების აგებისაგან საჭიროა თავი შევიკავოთ და მცირე ჰესებით შემოვიფარგლოთ.

საგულისხმოა ის პერსპექტივები, რომლებსაც გვისახავს საშუალო და მცირე სიმძლავრის ატომური ენერგეტიკული ბლოკების გამოყენება.

მართლაც, ამერიკაში, იაპონიაში, რუსეთში, საფრანგეთში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში წყალქვეშა ნავების ენერგეტიკული ბლოკებით აღჭურვის მიზნით დამუშავებულია ძალზე ეფექტური მცირე სიმძლავრის რეაქტორები, რომელთა გამოყენებისას საფრთხე პრაქტიკულად არ არსებობს.

თუმცა, ყოველგვარი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით შესაძლებელია ამორტიზებული წყალქვეშა ნავების კორპუსების გამოყენება, მასში მცირე სიმძლავრის ატომური რეაქტორის მოდულებისა და გენერატორების დამონტაჟებით. მთელი ეს კონსტრუქცია შესაძლებელია ზღვაში 100 მ და უფრო მეტ სიღრმეზე განთავსება. ასეთი ატომური ელექტროსადგურის მართვა ნაპირიდან შეიძლება წყლის სიღრმეებიდან მხოლოდ ელექტროენერგიის ამოღებით. ნებისმიერი ავარიის შემთხვევაში შესაძლებელია ატომური ელექტროსადგურის ჩაშვება ზღვის ფსკერზე მის ბუნებრივ სამარხში. საყურადღებოა, რომ წყლის სქელი ფენა კარგად შთანთქავს რადიაციას, ხოლო რადიოაქტიური ნუკლიდები იზოლირებული იქნება დიდ სიღრმეებზე. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ატომური რეაქტორები იქნება განლაგებული იმ სიღრმეზე, სადაც უჟანგბადო არეა და სიცოცხლე არ არსებობს.

ცნობილი გახდა, რომ საფრანგეთის უმსხვილესმა გემთმშენებელმა კომპანიამ მსოფლიო საზოგადოებას შესთავაზა ნაპირიდან ახლოს მცირე სიმძლავრის ატომური ელექტროსადგურების განლაგება ოკეანეებისა და ზღვების ფსკერზე. კონცეპტუალური პროექტი „Flexblue“ წარმოგვიდგინა კომპანია DCNS-მა, რომელიც საფრანგეთის სამხედრო ფლოტის წყალქვეშა ხომალდების წარმოებითაც არის დაკავებული (სწორედ ეს ფირმა აგებს „მისტრალის“ ტიპის ხომალდებს).

შემოთავაზებული წყალქვეშა ატომური დანადგარების სიმძლავრე 50-250 მეგავატის ფარგლებშია, რაც საკმარისია 100 ათასიდან 1 მილიონამდე მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ცხადია, რომ საქართველოსთვის ეს ძალზე სასარგებლო და, ამასთანავე, სრულიად უხიფათო იქნება. თვით ატომური წყალქვეშა ელექტროსადგური წარმოადგენს 12-15 მეტრი დიამეტრისა და 100 მეტრამდე სიგრძის სიგარის ფორმის დანადგარს, რომელიც შეიცავს ბირთვულ რეაქტორს, ტურბინას და ცვლადი დენის გენერატორს. ცხადია, ის აღჭურვილია საბალასტო ცისტერნებით და შესაბამისი ელექტრული კაბელებით. დედამიწის ზედაპირზე მხოლოდ ელექტრული დენისა და მართვის სისტემების კაბელები ამოდის. ატომური ელექტროსადგურის მართვა ნაპირზე განლაგებული სამართავი პულტებით მოხდება.

ცხადია, რომ ეს დანადგარი სრულიად დაცულია ტერორისტული თავდასხმებისაგანაც კი, ხოლო მიწისძვრები და ცუნამები წყლის ქვეშ განლაგებულ დანადგარებს ვერას დააკლებს. თვით რეაქტორის აფეთქების შემთხვევაშიც კი მისი მდებარეობის გამო, ადამიანებს ხიფათი არ ელის.

სურათზე ნაჩვენებია სპეციალური ხომალდი, რომელიც წყალქვეშა მოდულებს გადაიტანს. ამ ხომალდს წყალში ჩაძირვაც შეუძლია.

DCNS თანამშრომლობს ენერგეტიკულ კომპანიებთან AREVA და EDF-თან, ასევე, საფრანგეთის ატომურ და ალტერნატიული ენერგიების სახელმწიფო კომისიასთან (CEA). თუ ეს პროექტი უახლოეს მომავალში მთლიანად შეთანხმდა, წყალქვეშა ატომური ელექტროსადგურის პროტოტიპი 2016 წლისთვის დამზადდება. ფრანგები ვარაუდობენ, რომ 20 წლის განმავლობაში 200-მდე Flexblue-ს დანადგარს გაყიდიან.

კომპანია DCNS იმედოვნებს, რომ წყალქვეშა ატომური ელექტროსადგურის სადემონსტრაციო დანადგარი 2013 წელს დამზადდება. მნიშვნელოვანია, რომ ნაპირიდან შავი ზღვის სიღრმე საკმაოდ სწრაფად იზრდება და საქართველოს აკვატორიაში სანაპირო ზოლის სიახლოვეს დიდი სიღრმეები მრავლად არის. საყურადღებოა, რომ მცირე სიმძლავრის ატომური ენერგეტიკის განვითარება ხელს შეუწყობს წყალბადის ენერგეტიკის განვითარებასაც, რადგან გოგირდწყალბადის დაშლის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი მისი მაიონიზებელი გამოსხივებით ზემოქმედებაა.

საქართველომ, რომელიც ღარიბია ნავთობითა და ბუნებრივი აირით, საჭიროა ეფექტურად გამოიყენოს შავი ზღვის გოგირდწყალბადი და შავი ზღვის სიღრმეებში განლაგებული მცირე სიმძლავრის ატომური ბლოკები. იმედი გვაქვს, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო და პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი განიხილავს ფრანგების მიერ შემოთავაზებულ პროექტს და შავი ზღვის გოგირდწყალბადის გამოყენების პერსპექტივებს.

მერაბ ჯიბლაძე,
პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ამერიკის ფიზიკური საზოგადოების წევრი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ყრილობა

დავით რურუა – ოთხი წლით

სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის რიგგარეშე საარჩევნო ყრილობა გაიმართა. ფედერაციის პრეზიდენტობაზე შვიდმა კანდიდატმა შეიტანა განაცხადი, თუმცა შემდეგ ალექსანდრე ნიკოლეიშვილმა, ვლადიმერ ისელიძემ, ნოდარ კურტანიძემ და გიორგი ჩხეიძემ კენჭისყრაზე უარი თქვეს. დელეგატების წინაშე პროგრამებით წარსდგნენ რევაზ ჩომახიძე, დავით რურუა და გორგი გორდელაძე. ფარული კენჭისყრის შემდეგ ხმები ასე განაწილდა: რურუა – 22, გორდელაძე – 18, ჩომახიძე – 12, ორი ბიულეტენი ბათილად ცნეს. ასე რომ, საწყლოსნო სახეობათა ეროვნულ ფედერაციას ოთხი წლით დავით რურუა უხელმძღვანელებს. რამდენიმე დღეში ახალი თავკაცი ვიცე-პრეზიდენტებისა და გენერალური მდივნის კანდიდატებს დაასახელებს.

ნანა ლელაძე

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

ესპანური სოუსი ქართული გარნირით – მოკლედ ასე შეიძლება შეფასდეს ფეხბურთელთა XXIV ეროვნული ჩემპიონატის XVII ტურის ცენტრალური შეხვედრის შედეგი.

მიხვდით, ალბათ, რომ გათამაშების ერთპიროვნული ლიდერის თბილისის „დინამოსა“ და მესამეადგილოსან საჩხერის „ჩიხურას“ მატჩს ვგულისხმობთ, რომლის ბედიც მასპინძელთა პირენეელმა ლეგიონერებმა გადაწყვიტეს – 5:2. თავად განსაჯეთ: ჩისკომ „ჰეთ-თრიქი“ შეასრულა, ერთი გოლი ალვარომ გაიტანა, ხოლო წერტილი დვალმა მინდორზე ახალგამოსული კოტოს ზუსტი გადაცემით დასვა.

რაც შეეხება სტუმრებს, მათ პირველ ტაიმში ჩინებული შთაბეჭდილება დატოვეს, ჩიკვაიძისა და კირკიტაძის ძალისხმევით საპატიო ზავიც გააფორმეს – 2:2, მაგრამ ძალები ბოლომდე აღარ ეყოთ.

დანარჩენი შედეგები: „მეტალურგი“ – „დილა“ 0:2, „ბაია“ – „სიონი“ 2:0, „კოლხეთი“ – „ტორპედო“ 1:2, „მერანი“ – „ბათუმი“ 3:1, „ზესტაფონი“ – „ვიტ ჯორჯია“ 1:2.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ – 43, „დილა“ – 40, „ტორპედო“, „ჩიხურა“ – 35-35, „ბაია“ – 32, „ზესტაფონი“ – 28, „მეტალურგი“ – 23, „ვიტ ჯორჯია“, „მერანი“ – 20-20, „სიონი“ – 17, „ბათუმი“ – 9, „კოლხეთი“ – 8 ქულა.

* * *

იტალია. „იუვენტუსი“ – „ტორინო“ 3:0, „კატანია“ – „მილანი“ 1:3, „ინტერი“ – „პალერმო“ 1:0, „სიენა“ – „რომა“ 1:3, „ლაციო“ – „პარმა“ 2:1.

ესპანეთი. „ბარსელონა“ – „ბილბაო“ 5:1, „რეალი“ – „ატლეტიკო“ 2:0, „ვალენსია“ – „სოსიედადი“ 2:5.

ინგლისი. „რედინგი“ – „მანჩესტერი“ 3:4, „სიტი“ – „ევერტონი“ 1:1, „ვესტ ჰემი“ – „ჩელსი“ 3:1, „ლივერპული“ – „საუთჰემპტონი“ 1:0.

გერმანია. „ბაიერნი“ – „ბორუსია“ 1:1, „ლევერკუზენი“ – „ნიურნბერგი“ 1:0, „შალკე“ – „გლადბახი“ 1:1.

საფრანგეთი. „ლიონი“ – „მონპელიე“ 1:0, „ნიცა“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 2:1.

გიორგი ზოთაძე

◎ ფარიკაობა

რეიტინგში 12 საფეხურით დაწინაურდა

ხმლით ფარიკაობაში კადეტთა 2010 წლის მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა მიხეილ მარდალეიშვილმა გასულ უქმეებზე გერმანულ დორმაგენში ახალგაზრდა მუშკეტერთა მსოფლიოს თასის ეტაპზე მოსინჯა ძალები. ჯგუფურ ტურნირში მან რამდენიმე მეტოქეს სძლია და პლეიოფში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. იქ კი სამი მოწინააღმდეგე ჩამოიშორა გზიდან: ზედიზედ სძლია პოლონელ სტანისლავ სვირკის – 15:7, რუს ვიაჩესლავ ისკანდაროვს – 15:14 და იტალიელ მარკო ლეჩის – 15:14.

მეოთხედფინალში ფრანგ ტომ სეიტთან დამარცხდა – 12:15 და საბოლოოდ მე-5 ადგილი დაიკავა (პირველ ადგილზე რუსეთელი კამილ იბრაგიმოვი გავიდა). ამავე ტურნირში ასპარეზობდა სანდრო ბაზაძეც. პლეიოფში მან მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგო და 27-ე ადგილი ერგო. მსოფლიო რეიტინგში ბაზაძემ მე-8 ადგილი შეინარჩუნა, მარდალეიშვილი კი 27-ედან 12 საფეხურით დაწინაურდა.

ვაჟა ნოსირელი

◎ რაგბი

დაფასება არ გვაკლია

რაც დრო გადის, ქართული რაგბი საერთაშორისო სარბიელზე მეტ ავტორიტეტს იხვეჭს. დასტურად ისიც გამოდგება, რომ საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში FIRA-AER-ის გენერალურ ასამბლეაზე, რომელსაც 44 ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელი გიორგი ნიჟარაძე ოთხი წლით ზემოაღნიშნული ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს, თავკაცი კი ისევ ფრანგი ჟან კლოდ ბაკე იქნება...

ახლა კი გასულ უქმეებზე გამართული ეროვნული პირველობის მატჩების შესახებ. ქუთაისში ერთმანეთს მოქმედი ჩემპიონი „არმია“ და ვიცე-ჩემპიონი „აია“ დაუპირისპირდნენ. წლეულს პირველი წრის მატჩში რიონისპირელებმა არმიელები დაამარცხეს, ამდენად, სტუმრები რევანშისთვის იყვნენ განწყობილი და საწადელსაც მიაღწიეს. ანგარიში ლელოთი ჩემპიონებმა გახსნეს. აქედან მოყოლებული შესვენებამდე თამაშის სადავეებიც მათ ეპყრათ – 15:8. მეორე ტაიმში მასპინძლები გააქტიურდნენ და დაწინაურდნენ კიდეც – 18:15, თუმცა უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს და დამარცხდნენ – 25:29.

ტურის დანარჩენ მატჩებში ფავორიტებს წარმატების მიღწევა არ გასჭირვებიათ: „ლელო“ – „ყოჩები“ 23:13, „ლოკომოტივი“ – „ბათუმი“ 38:24, „არმაზი“ – „აკადემია“ 17:10, „ხარები“ – „ილიაუნი ჯიქი“ 20:26.

თერთმეტი ტურის შემდეგ ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: „ლელო“ – 47 (+177), „არმია“ – 45 (+166), „აია“ – 35 (+129), „არმაზი“ – 29 (+28), „ლოკომოტივი“ – 27 (+42), „ჯიქები“ – 26 (+17), „ხარები“ – 14 (-98), „ბათუმი“ – 14 (-76), „აკადემია“ – 10 (-213), „ყოჩები“ – 7 (-122).

გივი გაგუა

◎ კალათბურთი

პირველი ოვერტაიმი სუპერლიგაში

სუპერლიგის მიმდინარე სეზონში 35 მატჩი ჩატარდა და მხოლოდ მეშვიდე ტურში დაფიქსირდა დამატებითი დრო. 1 დეკემბერს „დინამოსა“ და „ოლიმპს“ შორის შეხვედრაში ძირითადი 40 წუთი საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებულის გამოსავლენად, ოვერტაიმში კი გამარჯვება „ოლიმპმა“ მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ „დინამოს“ ტრავმის გამო აკლდა ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე მილან ოლუიჩი, რის გამოც ისედაც მოკლე სათადარიგოთა სკამის მყოლ გუნდს ოვერტაიმში დაღლა დაეტყო. მწვრთნელმა ირაკლი ხოშტარიამ 45 წუთში მხოლოდ 8 მოთამაშე გამოიყენა.

ამ ტურში ისვენებდა სუპერლიგის ლიდერი და ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი – „შსს-აკადემია“, რითაც ისარგებლა „რუსთავმა“ და „ქუთაისის“ სტუმრად ძლევის შემდეგ პირველ ადგილზე აინაცვლა. საუკეთესო არათბილისური გუნდების შეხვედრაში „რუსთავმა“ მატჩის ბედი ბოლო მეოთხედში გადაწყვიტა, რომელიც 23:12 მოიგო.

პირველი გამარჯვება მოიპოვა წინა სეზონის ერთ-ერთმა გამორჩეულმა გუნდმა, ახლა კი შესამჩნევად დასუსტებულმა „სოხუმმა“, რომელმაც ასევე მაჩანჩალა სტუ-ს 11-ქულიანი სხვაობით აჯობა.

სუპერლიგა

მე-7 ტური.
„ბათუმი“ – 82:73 „სამედიცინო“,
„ქუთაისი“ 60:67 „რუსთავი“,
„დინამო“ 79:84 „ოლიმპი“,
თსუ 65:94 „არმია“,
სტუ 75:86 „სოხუმი“

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	წ	სხ	ქ
რუსთავი	7	6	1	+71	13
შსს-აკადემია	6	6	0	+123	12
ქუთაისი	7	5	2	+57	12
არმია	6	5	1	+172	11
ოლიმპი	6	5	1	+129	11
დინამო	6	3	3	+37	9
ბათუმი	7	2	5	-75	9
თსუ	7	2	5	-121	9
სოხუმი	6	1	5	-79	7
სტუ	6	0	6	-132	6
თსსუ	6	0	6	-182	6

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭადრაკი

ქალებს ახალი ჩემპიონი ჰყავთ

რუსულ ხანტი-მანსიისკში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 64 წარმომადგენელი ნოკაუტსისტემით იბრძოდა დაფნის გვირგვინისთვის. მოასპარეზეთა შორის იყვნენ ქართველი დიდოსტატებიც – ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე და სოფიკო ხუხაშვილი, რომლებიც ადრეულ ეტაპზე გამოეთიშნენ შეჯიბრებას. ხუთი რაუნდი წარმატებით განვლეს და ფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ბულგარელი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა და უკრაინელი ანა უშენინა. ოთხი კლასიკური პარტიის შემდეგ ანგარიში იყო 2:2. ტაიბრეიკებში უშენინამ 1,5:0,5 სძლია მეტოქეს და ქალებში მსოფლიოს მე-14 ჩემპიონი გახდა.

გულშემატკივრებისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, 1927 წლიდან დღემდე ვინ როდის იყო გვირგვინოსანი: ვერა მენჩიკი (1927-1944), ლუდმილა რუდენკო (1950-1953), ელიზავეტა ბიკოვა (1953-1956, 1958-1962), ოლგა რუბცოვა (1956-1958), ნონა გაფრინდაშვილი (1962-1978), მაია ჩიბურდანიძე (1978-1991), სიუ ჟუნი (1991-1997, 1999-2001), ჟუჟა პოლგარი (1997-1999), ჟუ ჩენი (2001-2004), ანტოანეტა სტეფანოვა (2004-2006), სიუ იუჰუა (2006-2008), ალექსანდრა კოსტენიუკი (2008-2010), ჰოუ იფანი (2010-2012). ანა უშენინასთვის დროის ათვლა 2012 წლის 1 დეკემბრიდან დაიწყო.

ლაშა დიდია

ასეულში – 9 ქალი და 1 მამაკაცი

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘ **თვის დასაწყისში ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია საუკეთესო მოთამაშეთა რეიტინგებს აქვეყნებს. გამონაკლისი არც დეკემბერია.**

ქალთა ასეულს 2705 პუნქტით ისევ უნგრელი იუდით პოლგარი ლიდერობს. შემდეგ მოდიან: ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2610), ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2606), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2586), ჟაო სიუ (ჩინეთი, 2565), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2555), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2553), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2539), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2524), მარი სებაგი (საფრანგეთი, 2521).

ქართველთაგან ძაგნიძის გარდა ასეულში არიან: 15. ბელა ხოტენაშვილი (2504), 34. ლელა ჯავახიშვილი (2455), 47. ნინო ხურციძე (2428), 51. ნინო ბაციაშვილი (2425), 60. სოფიკო გურამიშვილი (2403), 62. სალომე მელია (2403), 71. ნაზი პაიკიძე (2391), 77. სოფიკო ხუხაშვილი (2383).

ვაჟთა ასეულში ერთადერთი ქართველია – ბაადურ ჯობავა, რომელსაც 2711 პუნქტით 30-ე ადგილი უკავია. სათავეში კი ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი იმყოფება – 2848, რომელსაც მსოფლიოს მე-13 ჩემპიონის გარი კასპაროვის რეკორდს ერთი პუნქტიღა აშორებს. მეორე ადგილზეა ლევონ არონიანი (სომხეთი, 2815). ათეულში არიან: ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2795), თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი, 2793), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2782), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2775), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2775), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2771), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2766), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2764).

ლექსო ცინცაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჭინჭარსიტყვა

რჩევა

(მუხრანული)

ბიძო რო არა,
ლია რო არა,
აჩი რო არა,
კიდე ჰო, მარა
ესენი როა!!!
— ახლა კი დროა,
ახლა კი დროა,
მიშიკო, რომა
ევროპისა და
ა-შუ-შუს ფრაკში
შეწყვიტო ძრომა!..

რამაზ ილმელი

◎ დაიჯესტი

არ მოსწიო, აიცერი!

ბრიტანელმა მეცნიერებმა თამბაქოს მოწევის საწინააღმდეგო ახალი ვაქცინის გამოცდა დაასრულეს.

ვაქცინის წყალობით ორგანიზმში ანტისხეულები წარმოიშვება, რომლებიც ნიკოტინს ადამიანის თავის ტვინში შეღწევის საშუალებას არ აძლევენ, რის შედეგად თამბაქოს მოწევის პროცესს „გემო ეკარგება“.

აცრის გაკეთებას მოზარდებისთვის გეგმავენ, რათა მათ თამბაქოს მოწევის ხალისი დაუკარგონ. ბოლო დროს ნარკოდამოკიდებულთა ვაქცინაციის მეთოდით მკურნალობა დიდად პოპულარული გახდა. ამჟამად იყენებენ კოკაინისა და ზოგიერთი სხვა ნარკოტიკის საწინააღმდეგო ვაქცინებს. ამასთან, ცნობილია თამბაქოს საწინააღმდეგო სხვა ვაქცინებიც, რომელთა ეფექტიანობის დასადგენად გარკვეული დროა საჭირო.

ყველაზე „ჯანმრთელი ბიჭები“

მსოფლიო ჯანდაცვის ფედერაციამ სხვადასხვა ქვეყანაში მოსახლეობის ჯანმრთელობის რეიტინგი გამოაქვეყნა.

საქართველო მათ შორის ასეულის მიწურულისკენ „ჭყუმპალაობს“, ხოლო პირველ ადგილზეა ჩვენს ხელისუფალთა ესოდენ სანატრებელი სინგაპური, რომელსაც იტალია და ავსტრალია მოსდევენ.

აღნიშნული ქვეყნების გარდა ნუსხის პირველ ათეულში ასევე არიან შვეიცარია, იაპონია, ისრაელი, ესპანეთი, ნიდერლანდები, შვედეთი და გერმანია.

რატომ იღუნება ბანანი?

არასდროს გიფიქრიათ, ბატონებო, რატომაა, რომ ყველა ბანანი გაღუნულია? ნუთუ სწორი ნაყოფი ამ ხილს საერთოდ არ აქვს?

ბევრს ბანანი ერთგვარი პალმა ჰგონია, სინამდვილეში კი ის მოხრილი და საკმაოდ სუსტი ტანის ბალახია. მომავალი ბანანების პაწაწინა ჩანასახები ბალახის გვერდითა ღეროებს ხიზილალის მარცვლებივით რგოლებად აქვს ხოლმე შემოხვეული. ნაყოფებით დახუნძლული ღერო მზისკენ მიიწევს, ბანანებს კი გაზრდის საშუალება არ ეძლევათ, შედეგად ნაყოფების მზარდი მასა ღეროს მიწისკენ ექაჩება, ბანანებს კი დასამწიფებლად მზე სჭირდებათ! ჰოდა, სწორედ ამიტომაა, რომ მზის სინათლისთვის ბრძოლაში ისინი ნასევარმთვარის ფორმას იღებენ.

სულთათანა

ანზორ შონიას ნათელი კვალი



ორმოცი დღე გავიდა, რაც ამქვეყნად არა ხარ, სამაგიეროდ, ორმოცი დღეა, რაც სულ გიხსენებთ და თანაც გვჯერა, რომ ჩვენთან, ჩვენს ხსოვნაში ყოველთვის იქნები, მუდამ მოგვენატრები და გაგიხსენებთ.

მთელი შენი ცხოვრება ადამიანების სიყვარულით გაატარე, ვინც გიცნობდა, ყველა ამბობს, რომ შენი არყოფნა მაინც შენი დიდი ცხოვრებითაა სავსე, საოცრად შინაარსიანი, საოცრად ადამიანური სითბოთი გაჟღენთილი ცხოვრებით.

ობლობამ ბავშვობიდანვე დიდი სიყვარული გასწავლა, საყვარელი ადამიანების დაკარგვამ მიტევება, სითბო და თანადგომის ნიჭი შეგძინა. თითქოს გაჭირვებით დაკაცდი, მაგრამ შენი ცხოვრება ისეთი ნიჭიერებითა და მადლით შეავსე, რომ, როგორც იტყვიან, შენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა, იყავი ლაღი, იმედებითა და სიყვარულით აღსავსე; მშვენიერი ოჯახი შექმენი, ხარობდი უსაყვარლესი მეუღლითა და საამაყო ქალიშვილებით — იმ მშვენიერი სამაიათი, რომელმაც მამობის უდიდესი, უმაღლესი წოდება მოგანიჭა. ის ერთადერთი პატარა ბიჭი კი, რომელსაც ვერ მოეფერე, რომელიც ვერ მოგეფერა, ახლა შენ გვერდითაა და გვჯერა, რომ დღეს მას ეჩურჩულები იმ დიდი მრწამსის შესახებ, რაც ასე სათუთად დაგქონდა საოცრად ალალი გულით.

შენი შინაგანი სულიერი სამყარო შენივე წიგნებით გაანათე. კოლხი კაცი იყავი და ენგურსგაღმა მიწის ტკივილი დაჭრილი გულით დაგქონდა, წერდი, წიგნებს გამოსცემდი და შენი არც ერთი სტრიქონი არ ყოფილა პირადული, მხოლოდ და მხოლოდ საშენო, შენიღა გულის მოსაოხებელი. შენი გულის ძარღვი სამშობლოს ძარღვთან იყო შეერთებული, თქვენ ერთად ფეთქავდით და ერთმანეთს უყოფდით ტკივილსაც და სიხარულსაც.

ჩვენო ძმაო! ჩვენო ანზორ! ერთი წამით არ იფიქრო, რომ ფიზიკური სიკვდილით სიცოცხლე მთავრდება. შენი დაუცხრომელი გული შენს წიგნებში ფეთქავს, შენს შვილებსა და შვილიშვილებში გრძელდება. რაც შეეხება შენს გვარს, იგი ყოველთვის იქნება შენი სიცოცხლის, მთელი შენი შემოქმედების დამფასებელი და თაყვანისმცემელი.

შონიების საგვარეულო კავშირი ჯერ კიდევ ოცდაორი წლის წინათ შეიქმნა. მაშინ შენ იყავი საგვარეულოს შეკრების თამადა — უებრო, სწორუპოვარი, მჭევრმეტყველი, ყველას მომფერებელი და ქომაგი.

დღესაც ასე ხარ! შენი ლამაზი ცხოვრება კვლავაც სამაგალითო და მისაბაძია. უფლის წინაშე ცოცხლებიცა და გარდაცვლილებიც თანაბარნი ვართ და ამჯერადაც შენს სიტყვას ვუსმენთ, გაფასებთ, გვიყვარხარ და გეუბნებით: შენი ნათელი კვალი არასოდეს არ დაიკარგება, ჩვენთან ხარ, ჩვენთან ხარობ და წუხილობ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ანზორ შონიას სიკვდილი ვერაფერსაც ვერ დააკლებს.

უფალმა ნათელში გამყოფოს! ჩვენ მიწიერი საქართველოდან გლოცავთ, შენ კი ზეციური საქართველოდან არ მოგვაკლო შენეული სითბო და სიყვარული!

შონიების საგვარეულო კავშირი

არდავიწყება მოყვრისა

ცნობილი ისტორიკოსი, პუბლიცისტი, პოლემისტი, საქართველოს წარსულისა და ქართული ასომთავრული დამწერლობის დაუღალავი მკვლევარი ანზორ შონია იმდენად ხელხვავიანი შემოქმედი გამოდგა, რომ თავისი ძირითადი პროფესია „გადაავიწყა“ ხალხს. არადა, შესანიშნავი ინჟინერი იყო, ხელმძღვანელად დაბადებული, რუსთავქალაქში რამდენიმე ქარხნის თუ კომბინატის აღიარებული თავკაცი, ერთხანს გაერთიანება „ბორჯომის“ გენერალური დირექტორიც კი იყო... ის იმდენად გამართული, გაწონასწორებული, ყოველმხრივ სრულყოფილი პიროვნება გახლდათ, რომ რუსთაველებმა ერთხმად აირჩიეს საზოგადოება „რუსთაველის“ თავმჯდომარედ. სწორედ ამიტომაც გვაკვირვებს მუდამ მოუცლელი ანზორ შონიას სიჭარმაგის ასაკში ასეთი შემოქმედებითი „აფეთქება“ და 10-მდე ერთობ პოპულარული წიგნის შექმნა-გამოცემა.

ქართველთა და აფხაზთა საუკუნოვანი ერთიანობა და დიდი საქართველოს ტრაგედია ანზორ შონიას სულის ტკივილი იყო და ბოლოს ამ ტკივილმა გადაიყოლა...

მოულოდნელად განერიდა უჟამო წუთისოფელს და თავისი სიკვდილით კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ ჭეშმარიტად პატრიოტი და გულქართლი კაცის ნაღვაწი სამარადჟამოდ დარჩება შთამომავლობას, ანზორის დიდ ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, მთელ საგვარეულოს...

...და როგორი სულის მალამოა ასეთი მწუხრის ჟამს იმედიანი და წონიანი სიტყვა კაცურ კაცზე, კოლორიტულ პიროვნებასა და შესანატრ მეგობარზე. სახელოვან მამულიშვილთა უკვდავსაყოფად დაფუძნებული გაზეთ „თანადგომის“ მორიგი ნომერი სრულყოფილად წარმოაჩენს მართლაც ღირსეული მამულიშვილის ანზორ შონიას დიდ შემოქმედებით გზას, სამეურნეო თანამდებობებზე გამოვლენილ ნიჭსა და ალღოს, პიროვნულ თვისებებს.

გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ მარადიულ სასუფეველში გარდასული კაცის მეორმოცე დღეს ამაზე ძვირფასსა და შთამბეჭდავს ვერაფერს მიუძღვნიდნენ ანზორ შონიას ხსოვნას. თუმცაღა, ეს მარტოოდენ ხსოვნა არ არის, ეს ანზორ შონიას უკვდავების, სიკვდილის „ვარდისფერ გზაზე“ შედგომის დასაწყისია...

ღმერთმა დალოცოს ამ გაზეთის შემქმნელები (რედაქტორ-გამომცემელი **ანზორ ბაბუხადია**), ავტორები და თანამდგომნი.

ანზორ შონიას კი მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს ღმერთმა.

სპარტაკ ქოგულია

◎ ინფორმაცია

დაკავებულია ე. წ. „კანონიერი ქურდი“

მთავარი პროკურატურა ე.წ. კანონიერი ქურდის ბადრი დვალის დაკავების შესახებ განცხადებას ავრცელებს.

პროკურატურის ინფორმაციით, შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შემოსული ინფორმაციის საფუძველზე გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 28 ნოემბერს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს მრავალგზის ნასამართლევი, დანაშაულებრივი სამყაროს ერთ-ერთი წევრი, ე.წ. კანონიერი ქურდი, ბადრი დვალი, მეტსახელად — „ბაჩუკა“, დაბადებული 1970 წლის 20 ივლისს, ქალაქ ქუთაისში.

პროკურატურის ინფორმაციით, ბადრი დვალი, რომელიც 1991 წელს ე.წ. ქუთაისელი ქურდების მიერ აღიარებულია „კანონიერ ქურდად“ 2000 წლიდან სასჯელს იხდიდა რუსეთის ფედერაციის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისათვის. 2002 წელს, ქალაქ მოსკოვის გოლოვინის რაიონულმა სასამართლომ ის გაასამართლა რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 162-ე მუხლით, აგრეთვე — 226 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელი — 12 წელი დვალმა სრულად მოიხადა ნოვოსიბირსკის ოლქში მდებარე მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, საიდანც გათავისუფლდა 2012 წლის 27 ივნისს. მისი ქურდული მენტალიტეტიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ბადრი დვალი ყველგან აყალიბებდა კრიმინალურ დაჯგუფებებს, კოლონიაში მან 3 წელი გაატარა იზოლირებულად.

— ბადრი დვალი თავისი ცხოვრების წესით საჯაროდ გამოხატავს ქურდული სამყაროს მხარდაჭერას. ცნობს და აღიარებს ქურდულ სამყაროს, ეთანხმება მის მიზნებს, მონაწილეობს ე.წ. ქურდულ გარჩევებში სარგებლის მიღების მიზნით. მან მოსკოვში უკანონოდ შეიძინა და შეინახა ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი — 0, 02067 გრამი, რაც უკანონოდ შემოიტანა საქართველოში. ბადრი დვალმა დაკავებისას განმარტა, რომ იყო ე.წ. კანონიერი ქურდი და საქართველოში ჩამოვიდა იმისთვის, რომ „ზოგიერთებთან“ კითხვები ჰქონდა და მონაწილეობა უნდა მიეღო ქურდულ გარჩევებში, — ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

დედა ნორა ნიკოლაძე, მეუღლე ირა კაკაურიძე, შვილები იღუმენია ქეთევანი, თამარი, სიმონ წივწივაძეები, და მარიკა, დისწულები რუსუდან, ნინო თუთბერიძეები, სიძეები ბეჟან თუთბერიძე, ირაკლი ჩაგელიშვილი, ზურაბ ბოცვაძე, შვილიშვილები რეზი, გიორგი ჩაგელიშვილები, ცოლისძმა თენგიზ კაკაურიძე ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან

ილია სიმონის ძე წივწივაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5 XII, 16 სთ. დაკრძალვა 6 XII, ზესტაფონის რაიონი, სოფ. ცხრაწყარო.

დონარა სალაძე, რევაზ ჩაგელიშვილი ოჯახით, ირაკლი, ეკა ჩაგელიშვილები, რძალი თამუნა წივწივაძე, სიძე გიორგი გოცირიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან მოსიყვარულე მამულიშვილის, სითბოთი და სიყვარულით სავსე მძახლის

ილია სიმონის ძე წივწივაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 XII, ზესტაფონის რაიონი, ცხრაწყარო.

სნევი, რევაზ თევზაძეები ოჯახის წევრებთან ერთად მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქუთაისის მასწავლებელთა საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი

ჯულური ივანეს ძე გიგიაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ქალიშვილს ინგას და ახლო ნათესავებს.

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ გამოფენა

როცა ურთიერთობა საქმიანი და სარფიანია

გამოფენების ცენტრის „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილიონსა და ღია სივრცეში სოფლის მეურნეობის, კვების და გადამმუშავებელი მრეწველობებისა და შესაფუთი ტექნოლოგიების მე-12 საერთაშორისო გამოფენა 28.XI-1.XII დღეებში ტარდებოდა.

მის გახსნას საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სხვადასხვა მხარიდან ორგანიზებულად ჩამოყვანილი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მრავალი სპეციალისტი დაესწრო. როგორც ადგილობრივი ისე ჩამოსული სპეციალისტების ყურადღება სპეციალური სამაცივრე კონდიციონირების სისტემების სერვისმა, სასათბურე და სარწყავმა სისტემებმა, საჯიშე მეცხოველეობის ფირმების პროდუქციამ, შეფუთქვის ნიმუშებმა და მფუთავმა მანქანებმა, და ა. შ. მიიპყრეს, რომელთაგან მრავალი გამოფენაზე პირველად იყო გამოტანილი. გამოფენის დღეებში მსურველებს აქვე ქვეყნის სხვადასხვა რაიონში მოყვანილი სოფლის მეურნეობის პროდუქტის — თაფლის, ჩაის, რძის ნაწარმის, ყველა სახის ბაღჩეულის თესლის, ნაირი ჯემების, ასევე სასუქების, პესტიციდებისა და სხვ. შეძენა შეეძლოთ. მრავლად იყო ასევე უცხოური, კერძოდ კი თურქეთის, გერმანიის, ლატვის, ავსტრიის, კანადის, ესპანეთის, უკრაინის, ირანისა და სომხეთის ფირმების ნაწარმი, რომელთა წარმომადგენლებთან სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა საქმიანი კონტაქტები დაამყარეს, რაც უცხოური ტექნიკის შეძენასა და საქართველოში წარმოებულ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის გაყიდვას ეხებოდა.

ნინო ალექსანდრია
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთილი ვარსკვლავთან

„მაიძულებდნენ მეთქვა, რომ გოგა ხაინდრავამ დამავალა შარაძის მოკვლა“

დადგა დრო, როცა გიორგი ბარათელის სკანდალური აღიარება საქმის ხელახალი გამოძიების საფუძველი გახდება. ახლახან მან ციხიდან წერილი გამოგზავნა და დეტალურად აღწერა ის ზეწოლა, რომელსაც საპატიმროში განიცდიდა... „ჩემი პატიმრობის განმავლობაში მუდმივად ვიმყოფებდი „ნასედკა“ პატიმრების გარემოცვაში. ე.წ. „ბალნიჩკაზე“ ყოფნისას ბათუმელმა პატიმარმა, ვინმე ხვიჩამ შემომთავაზა, რომ შემოიტანდა ე. წ. „ზუჩოკს“, ანუ ჩამწერს (დეპარტამენტის მეშვეობით) და უნდა მეთქვა, რომ ოპოზიციონერმა გოგა ხაინდრავამ მთხოვა, რომ მომეკლა გურამ შარაძე.

„ქვირის პალიტრა“

სამთავრობო სტრუქტურებში კადრების შემცირება დაიწყო

ქუთაისისა და თბილისის მთავრობის სახლებიდან 80 თანამშრომელი გაათავისუფლეს. ამის მიზეზი საკადრო და სტრუქტურული რეორგანიზაციაა. სახელმწიფო სამსახურში შტატები მეტისმეტად გაზრდილი იყო, თუმცა რეორგანიზაციის შესახებ ყველა ის თანამშრომელი, რომელიც შემცირებაში მოყვა, 1 თვით ადრე იყო გაფრთხილებული. ისინი მიიღებენ მათ კუთვნილ 2 თვის ფულად კომპენსაციას.

„რეზონანსი“

„მოსახლეობა ბიძინასთან ერთი-ერთზე დარჩება და ანგარიშს გაუსწორებს“

— წინასწარმეტყველებს აკაკი ბობოხიძე, — ხალხი ძალიან მალე დაინახავს, რომ რაც ნაციონალურ მოძრაობაში არ მოსწონდათ, იგივე, უფრო აღმატებულ ხარისხში, დღეს მეორდება. ამომრჩეველს რა მოლოდინებიც ჰქონდა უკეთესი ცხოვრებისკენ, დღევანდელი რეჟიმისგან ამას რომ ვერ მიიღებს, მერე ბიძინასთან ერთი-ერთზე დარჩება და ანგარიშს გაუსწორებს. ყველა მალე გამოვა ეიფორიიდან, აღარ დაკმაყოფილდება მარტო „ნაციონალების“ „მონსტრების“ და იმ ლიდერების დაპატიმრებებით, ვინც წარსულში შეცდომებს უშვებდა.

„ვერსია“

„ვანო მერაბიშვილის ყალბი პასპორტი „ნაციონალური მოძრაობის“ კარგად გათვლილი პროვოკაციაა!“

— მიაჩნია საარჩევნო და პოლიტიკური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელს კახა კახიშვილს, — „ნაცმოძრაობა“ ცდილობს, პოლიტიკური დევნილის სტატუსი დაამკვიდროს, დასავლეთის თვალში წარსდგეს პოლიტიკურ ტანჯულად. სააკაშვილი ასეთი სურათის შექმნას ცდილობს დასავლეთში — მეტი რაღა მექნა, ვაღიარე არჩევნები, გადავაბარე აღმასრულებელი ხელისუფლება დემოკრატიულად, ასევე მივეცი ძალოვანი ბლოკი და ამათ, იმის ნაცვლად, რომ რეალურად დაიწყონ საქართველოს განვითარება, დაიწყეს პოლიტიკური დაჭერებიო.

„ძრონიკა“

გველირსა!

ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის ქართველი ხალხის მიერ არჩეული ლიდერია და, სააკაშვილისგან განსხვავებით, უპირველეს ყოვლისა, სწორედ საქართველოს ეროვნული ინტერესებით, ქვეყნის კონსტიტუციითა და თანამემამულეთა აზრის გათვალისწინებით იმოქმედებს. „ჩვენ არ ვიმოქმედებთ არც ერთი განცხადებით, რომელიც კეთდება საზღვარგარეთ. ჩვენ ვართ საქართველოს მთავრობა! ძალიან კარგად ვფლობთ სიტუაციას, ძალიან კარგად ვიცით, რა ხდება საქართველოში და ძალიან კარგად არის ინფორმირებული საზოგადოება. ჩვენ ვიმოქმედებთ ისე, როგორც კანონი გვაძლევს ამის საშუალებას და ასეთი სტატიები (მხედველობაში აქვს „ვაშინგტონ პოსტი“ რედ.) ვერ შეაჩერებენ და ვერ შეაფერხებენ სამართალდამცავი სტრუქტურების მოქმედებას“ — ამბობს ბიძინა ივანიშვილი.

„ასავალ-დასავალი“

◎ ანეკდოტები

ორი ძმაკაცი ერთმანეთს შეხვდა საროსკიპოში:

— ბიჭო, შენ ხომ გუშინ იქორწინე! ასე უცებ აიყარე გული ცოლზე? — ეკითხება ერთი.

— არა, კაცო! საქმე ის არის, რომ დილით როცა გამელვიძა, ძალიან მომინდა სექსი. ცოლს კი ისე ტკბილად ეძინა, რომ რაღაც 30 დოლარის გამო მისი გაღვიძება დამეწანა.

* * *

— რა ჰქვია კაცს, რომელსაც სიყვარულში გაუმართლა?

— უცოლო.

* * *

ადამი და ევა საოთხის ბაღში სეირნობენ.

— გიყვარვარ? — ეკითხება ევა.

— არჩევანი მაქვს, რო?..

* * *

— რა არის ყველაზე მძიმე სასჯელი მრავალცოლიანობისთვის?

— სიდედრი.

* * *

— რატომ მიოფლიანდება ხელები მუდამ, როგორც კი ვიოლინოს ვუკრავ?

— ეგ ოფლი კი არა, ვიოლინოს ცრემლებია...

* * *

ხელოვნებას ჯადოქრული ძალა აქვსო, ამბობენ, მაგრამ... სამჯერ მყავდა სიდედრი ოპერაში, მაგრამ მაინც გველად დარჩა.

* * *

ნუ მისწორებთ, მე თქვენი ბიკინი კი არა ვარ!

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერუსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com